645
1958/2



# საბჭოთა ქალი

№ 5 მაისი 1958



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჟენი მარქსი მამასთან ერთად.

მიმდინარე წლის მაისში შესრულდა 140 წელი კარლ მარქსის დაბადებიდან. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ემზადებოდნენ ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად. მაგრამ, როდესაც ვლაპარაკობთ მარქსზე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი ახლობელი ადამიანები, მარქსის მეუღლე—ჟენი ფონ-ვესტფალენი და მისი სამი ქალიშვილი—ჟენი, ლაურა და ელეონორა, ისინი აკი ვაჟკაცურად ინაწილებდნენ მარქსის მძიმე, ბრძოლითა და გაჭირვებით აღსავსე ცხოვრების სიძნელეებს,

ამ იშვიათად მეგობრული ოჯახის ყველა წევრს ერთმანეთთან დიდი სიყვარული და ნამდვილი ამხანაგური გრძნობა აკავშირებდა. მარქსის სიკვდილის შემდეგ ელეონორა წერდა: «სახლში ჩვენ ყველანი კარგი ამხანაგები ვიყავით, მაგრამ ის ყველაზე საყვარელი და მხიარული იყო .. ასეთი იყო იგი სიკვდილამდე».

ბავშვებს მარქსი ბევრს უკითხავდა. «ისევე როგორც ჩემამდე ჩემს უფროს დებს, მან მეც მთლიანად წამიკითხა ჰომეროსი, «სიმღერა ნიბელუნგებზე», «გუდრუნი», «დონ-კიხოტი», «ათას ერთი ღამე» და ა. შ. ექვსი წლისამ მე უკვე მთელი სცენები ვიცოდი «შექსპირიდან» – წერდა ელეონორა მამაზე თავის მოგონებებში. ესაუბრებოდა რა წიგნებზე, მარქსი ასწავლიდა შვილებს ეპოვნათ ყველაზე ლამაზი ამ ნაწარმოებებში.

წრემ, რომელშიც დები იზრდებოდნენ, ხელი შეუწყო იმას, რომ ისინი ადრე ჩაებნენ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მარქსის ოჯახში მუდამ დადიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური ემიგრანტები, ინგლისის მუშათა მოძრაობის ბელადები.

მარქსის უფროსი ქალიშვილი ჟენი მხურვალედ ეხმაურებოდა მის თანადროულ მოვლენებს. 1870 წელს პარიზის გავლენიან გაზეთში «მარსეიეზში» გამოქვეყნდა სტატიების სერია, რომელსაც ხელს აწერდა ჯ. ვილიამსი. მათი ავტორი ჟენი მარქსი გახლდათ.

# ჟენი,

სტატიებში მხილებული იყო, თუ როგორ ეპყრობოდნენ «თავისუფალ ინგლისში» ირლანდიელ რევოლუციონერებს. ამ სტატიებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვეს როგორც პრესაში, ისე მკითხველებში. დიდი ბრიტანეთის მთავრობა იძულებული გახდა გაენთავისუფლებინა რამდენიმე პატიმარი. ამაზე მარქსმა შენიშნა: «მ-რ ჯ. ვილიამსს, რა თქმა უნდა, დიდი და ნამდვილად დამსახურებული წარმატება ხვდა... ყოჩაღ, ჟენი!»

ჟენის დასახასიათებლად ასეთი ეპიზოდის მოყვანა შეიძლება: 1871 წ. ზაფხულში ის და ელეონორა თავის დასთან – ლაურასთან და მის ქმართან ფრანგ სოციალისტთან — პოლ ლაფარგთან ჩავიდნენ ბორდოში. მაგრამ ლაფარგები, რომლებსაც დაპატიმრების საფრთხე ემუქრებოდათ, ემიგრაციაში, ესპანეთში გაემგზავრნენ. პოლიციის მოხელეებმა ლაფარგების სახლში ჟენი და ელეონორა დააპატიმრეს. დაკითხვებზე ჟენის ვაჟკაცურად და მშვიდად ეჭირა თავი, პოლიციის პრეფექტი, ბრაზით იხსენებდა რა «ენერგიულობას, რომელიც ამ ოჯახის ქალებს ახასიათებდა», იძულებული გახდა გაენთავისუფლებინა ისინი. ორივე ქალიშვილი დიდ საფრთხეში იყო: ჟენის თან ჰქონდა პარიზის კომუნის ერთ-ერთი ბელადის გუსტავ ფლურანსის წერილი. როცა ჟენი ერთი წუთით მარტო დატოვეს კანცელარიაში, მან სწრაფად ჩადო წერილი ძველ სარეგისტრაციო წიგნში და გაჩხრეკისას ქალიშვილებს ისეთი ვერაფერი უპოვნეს, რაც მათთვის ბრალდებად შეეძლოთ წაეყენებიათ.

ჟენის გარდაცვალების გამო ენგელსი წერდა: «მისი სახით პროლეტარიატმა დაჰკარგა გმირი მებრძოლი. მაგრამ მისი სიკვდილით გულმოკლულ მამას ის მაინც დარჩა ნუგეშად, რომ ევროპისა და ამერიკის ასეული ათასობით მუშები იზიარებდნენ მის მწუხარებას».

მარქსის მეორე ქალიშვილი ლაურა 1868 წელს ცოლად გაჰყვა ფრანგ სოციალისტს პოლ ლაფარგს, რომელსაც ლენინმა მარქსიზმის იდეების ერთ-ერთი ნიჭიერი გამავრცელებელი უწოდა. ლაფარგი უნივერსიტეტიდან გარიცხეს ლიეჟში სტუდენტთა საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობისათვის, ის ლონდონში ჩავიდა, სადაც გაიცნო მარქსი, აღიარა მისი მოძღვრება და გახდა პირველი ინტერნაციონალის წევრი. ქირურგის დიპლომის მიღების შემდეგ პოლ ლაფარგი ლაურასთან ერთად პარიზში დაბრუნდა. მათ ერთად თარგმნეს ფრანგულ ენაზე «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», მარქსის მიერ დაწერილი პირველი ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს მოწოდებანი საფრანგეთ-პრუსიის ომის შესახებ.

ლაურა მონაწილეობდა საფრანგეთის სოციალისტურ მოძრაობაში. მან ფრანგულ ენაზე თარგმნა და გამოსცა მარქსისა და ენგელსის ბევრი ნაშრომი და ინახავდა მარქსის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

მარქსის უმცროსი ქალიშვილი ელეონორა სამართლიანად ითვლება ინგლისის სოციალისტური და მუშათა მოძრაობის ერთერთ გამოჩენილ მოღვაწედ და პუბლიცისტად.

ის ადრე ჩაება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჯერ როგორც მარქსის თანაშემწე და მდივანი, შემდეგ დამოუკიდებლადაც მუშაობდა. მამისაგან გამოჰყვა არაჩვეულებრივი ენერგია, შრომისმოყვარეობა, ნებისყოფა, უნარი ვაჟკაცურად გადაეტანა უმძიმესი განსაცდელი. ის პატარაობიდანვე მუშაობდა ისე, რომ არ იცოდა, რა იყო დაღლა. მაშინდელ პერიოდულ გამოცემებში ხშირად ქვეყნდებოდა ელეონორას სტატიები მუშათა მოძრაობისა და მუშათა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. მას ვრცელი მიმოწერა ჰქონდა რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ამერიკის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, რომლებსაც ატყობინებდა ინგლისის ამბებს. თავის მხრივ ისიც იღებდა ცნობებს და მათ ფართოდ იყენებდა პროპაგანდისტულ მუშაობაში.

ელეონორა არა მარტო შესანიშნავი პუბლიცისტი იყო, არამედ პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელიც. მას ეკუთვნის, მაგალითად, ფლობერის რომანის «ქალბატონი ბოვარის» ინგლისური თარგმანი

# ლაურა,

ელეონორამ დაწერა მოგონებანი მარქსზე და ენგელსზე, გამოსცა რამდენიმე ნაშრომი მარქსის ხელნაწერებიდან, ხოლო მარქსის სიკვდილის შემდეგ ამხილებდა

7445



ლაურა მარქსი.



ელეონორა მარქსი.

მის მტრებსა და ცილისმწამებელთ. თავის ქმართან—ინგლისელ სოციალისტ — ედუარდ ეველინგთან ერთად ელეონორამ ორჯერ იმოგზაურა ამერიკაში პროპაგანდისტული მიზნებით. ის ხშირად გამოდიოდა კრებებზე, მიტინგებზე, საპირველმაისო დემონსტრაციებზე ჰაიდ-პარკში. როგორც ერთერთი მისი თანამედროვე წერდა, ძნელია ინგლისში ისეთი მუშათა ტრიბუნის პოვნა, საიდანაც ელეონორას სიტყვა არ წარმოუთქვამს.

ელეონორამ შესანიშნავად იცოდა უცხო ენები და მეორე ინტერნაციონალის ოთხ კონგრესზე თარჯიმანობდა კიდეც.

ელეონორა მუდამ მოვლენების ცენტრში, მუდამ ხალხთან იყო.

80-იანი წლების დამლევს ინგლისს გაფიცვების ტალღა მოედო, რომლებშიც ნაკლებ კვალიფიციური მუშები მონაწილეობდნენ. ამ მუშებს ჯერ კიდევ არ ქონდათ თავიანთი პროფკავშირები. 1889 წელს ელეონორას აქტიური მონაწილეობით გაზის საწარმოებისა და შავი

# ელეონორა

მუშები ქმნიან თავიანთ პირველ პროფკავშირს, რომლის ცეკას წევრიც ხდება ელეონორა. ელეონორას მეოხებით კავშირმა შექმნა ქალთა სექციები, მიაღწია რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღებას. ამ მაგალითს მიჰბაძეს ლონდონის დოკერებმა. ელეონორა მონაწილეობდა მათი გაფიცვების მომზადებასა და ჩატარებაში.

— «გაეგო სოციალიზმი, გაეწია სოციალიზმის პროპაგანდა, ეცხოვრა სოციალიზმისათვის — ეს იყო მისი მიზანი», – წერდა ვ. ლიკბნეხტი ელეონორას შესახებ.

ასეთები იყვნენ ჟენი, ლაურა, ელეონორა — დიდი მარქსის ქალიშვილები.

ო. ვორობიოვა,

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.



ეს დიდი ზომის მოქარგული პანო—„გამარჯვების დროშის აღმართვა რაიხსტაგზე“, შესრულებულია ქალთა ჯგუფის—ვ. ზიარელაშვილის, დ. მამალაშვილის, ი. არგუტინსკაიას, მ. წერეთლის, ე. ხამუნჯიანის და მ. ცხომელიძის მიერ (ესკიზი ქართული ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მხატვარ დ. ციციშვილს, ტექნიკური ხელმძღვანელი—ა. ჯანდიერი).

## მირზა კალანდაძე

მიწყდა სიმღერა. დაბნეულად მიმოიხედა დარბაზში მომღერალმა. სიხარულით გაბრწყინებულ მამის თვალებს წააწყდა და მიხვდა—მისი ბედი გადაწყდა: ექიმი მომღერლის ძნელი და ლამაზი გზის გაკვლევას შეუდგება ამიერიდან.

ნელა ამოიოხრა. ვერ მიხვდა, უხარია თუ არა. ექიმობა კია თავიდან არჩეული პროფესია? მკურნალობას ელტვოდა გოგონა, შემდეგ მტლად რომ დადებოდა მოყვასის ჯანმრთელობას.

აკი ამ ერთი წლის წინათ აისრულა საწადელი!

დღეს? დღეს ექიმმა სხვა გზა აირჩია. მამ გადასძალა—მშობელს სურდა მისი ერთადერთი ქალიშვილის ლამაზ ხმას სხვებიც დაეტკბო. ქალიშვილსაც უყვარდა სიმღერა, უყვარდა, ემღერებოდა და მღეროდა კიდეც. პროფესიონალი მომღერლის კარიერაზე კი არასდეს უფიქრია.

... უხმოდ გამოვიდნენ მამა-შვილი მუსიკალური ტექნიკუმიდან, უხმოდვე დაადგნენ ქუჩას. ქალიშვილს ახლა სხვანაირი მოეჩვენა ყველაფერი, დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო—მკერდში ჩაიკრას მთელი ქვეყნიერება, იმღეროს ამ ლამაზ სიცოცხლეზე, ადამიანთა სიხარულზე, ბედნიერებაზე...

პროსპექტზე გამოსული, შეშფოთდა—რამ ჩაუქრო ღიმილი ადამიანებს? ორიოდე საათის წინათ ალერსიანი და მხიარულნი, რატომ გახდნენ ასეთი პირქუშნი და დაფიქრებულნი?

— რა ამბავია, რა მოხდა?—შეეკითხა მამა პირველსავე შემხვედრს, რომელმაც გაოცებით ახედა მას, შემდეგ კი სიმწრით გამოსცრა კბილებში:

— ქვევრში ხომ არ ისხედით? გერმანია დაგვესხა თავს!

დასტურად რადიორეპროდუქტორიდან გაისმა ნაცნობი დიქტორის უჩვეულოდ დინჯი, ბოლმიანი ხმა—იგი საბჭოთა მთავრობის განცხადებას გადმოსცემდა.

ანაზდად გაიფანტა პოეტური ბურუსი, დილიდანვე გარს რომ ეხვია ქალიშვილს; ბავშვობაში გაგონილ წარმტაც ზღაპრად იქცა ტექნიკუმი, მოწონების შეძახილები, გულითადი მილოცვები.

# თბილისი — ბერლინი

აირია ფიქრები. ამ წუთიდან თითქოს ყველაფერი თავიდან იწყება. მაგრამ საიდან დაიწყოს მან, გალინა ჯაშმა? სად მონახოს თავისი ადგილი ამ დიდი განსაცდელის ჟამს? ფიქრებში წასულმა, უცბად ოდნავი შვება იგრძნო—ის ხომ ექიმია, მაშ, ადგილიც მონახულია!

ყველაფერი სწრაფად მოხდა—გამგზავრებისათვის მომზადებაც და მშობლებთან გამოთხოვებაც.

ორი თვის წინათ გააცილა მამამ ფრონტზე ვაჟიშვილი, ახლა მეორესაც გზას ულოცავდა, ქალიშვილს, მისი მოხუცებულობის სიხარულს. სათითაოდ ხელს ავლებდა და უალერსებდა შვილის შუბლს, ლოყებს, ნიკაპს, ცხვირს და თან ნაღვლიანი ღიმილით ეუბნებოდა:

— ყველაფერი სალი გაქვს, ასეთივე დამიბრუნდი, მხოლოდ გამარჯვებული!

«გალიჩკა, იქნებ, ბ-ჭს შეხვდე სადმე?!...» ჩაესმა უკანასკნელად მშობლის ხმა.

... მახაჩკალაში შედგენილი საველე სანიტარული ბატალიონი 1941 წლის დეკემბერში მტრის განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ ქერჩის სრუტეზე გადადიოდა, ბატალიონის რიგებში ექიმი გალინა ჯაშიც იყო...

... და დატრიალდა ყველაფერი თავბრუდამხვევი სისწრაფით. ვერც კი იტყოდა ქალიშვილი თუ რას განიცდიდა ამ დღეებში. ემინოდა? სამალავია განა? სცადე—არ შეშინდე, როცა ირგვლივ დედამიწა ირყევა და ზანზარებს, როცა ერთმანეთში ირევა თვითმფრინავთა შემზარავი ზუზუნი, ქვემეხების გრიალი, დაჭრილთა კვნესა..

მაშ, რა გრძნობა მიაქანებს წინ ახალგაზრდა ექიმს, წინ, სადაც ჯოჯოხეთი დატრიალებულა, სად ერთმანეთს შებმია სიკვდილ-სიცოცხლე?—შიშზე უფრო ძლიერი და მაღალი გრძნობა—სიყვარული.

... ნაცარტუტად ქცეულ ქერჩში შესულმა სანიტარულმა ბატალიონმა ბრძანება მიიღო—დაბინავებულიყო და დაჭრილები მიეღო. ყველამ ვერ მიაღწია დანიშნულ ადგილს—მტრის თვითმფრინავებმა გალიას თვალწინ ააფეთქეს ადამიანებით სავსე ორი ავტომანქანა.

და როცა ახალგაზრდა ექიმი ხელების კანკალით დაჭრილს პირველად უხვევდა ჭრილობას, მზად იყო სიმწარისა და გაბოროტებისაგან საკუთარი ხელები დაეკბინა... შემდეგ? შემდეგ ყოველი დაჭრილის, თვითეული გადაბუგული სოფლისა თუ ქალაქის დანახვა მთის წვერიდან დაგორებულ თოვლის გუნდასავით ზრდიდა მტრისადმი სიძულვილის გრძნობას.

... ნახევარი თვეა თვალი არ მოუხუჭავს გალინა ჯაშს. ან რა დააძინებს! აი, ახლაც თავს ადგია მძიმედ დაჭრილს, ცდილობს რითიმე შეუმსუბუქოს ტკივილები. უცბად, თითქოს ფეხქვეშ საყრდენი გამოეცალა—მთელი შენობა შეზანზარდა, შუილით დაეცა ბომბი სახურავს და ხრიალით წამოვიდა ჭერი. ახალგაზრდა ექიმის პირველი ინსტიქტური მოძრაობა ის იყო, რომ მთელი სხეულით გადაეფარა დაჭრილს, ახალი საფრთხისაგან თუ სურდა მისი დაცვა.

როცა წამოდგა, ექთანს შეხედა, იქვე რომ იდგა ფერდაკარგული.

«გადავრჩით!»—ამოიკითხა მის თვალებში. და მარტო ერთხელ გადარჩა ასე?

«მართლა არ მეშინია?»—ფიქრობდა გალინა, როცა ისმენდა ქვემეხების გრიალს, ტანკების გრუხუნს, მტრის თვითმფრინავთა ამაზრზენ წივილს, დაბლა დაშვებისას რომ გამოსცემდნენ.

როდი ხვდებოდა მაშინ ქალიშვილი, თუ როგორ აყუჩებს შიშის გრძნობას სიკვდილის პირისპირ ნიადაგ დგომა.

მის უფროს მეგობრებს სხვა რამეც აკვირვებდათ—სად პოულობდა ასეთი ახალგაზრდა ამდენ სითბოსა და სინაზეს დაჭრილებისათვის. რა იცოდნენ მათ, რომ ეს იმ დიდი სითბოსა და სინაზის ნაწილიც იყო, რაც ფრონტელი ძმისადმი ჰქონდა შენახული გალინას გულში.

... რამდენი რამ გადახდა, რა არ ნახა, რა არ გადაიტანა! მაინც არაფერი შეედრებოდა იმ სიმწარესა და გაბოროტებას, უკანდახევის დროს რომ განიცადა. ქერჩში მიიღო ახალგაზრდა ექიმმა, როგორც იტყვიან, პირველი საბრძოლო ნათლობა, და როცა უკან დაიხიეს, თითქოს იქვე დატოვა თავისი გულის ნაწილი...

გადადიოდა იგი უკანდახევის გზებით—ტემრიუკიდან არმავირში, არმავირიდან მინერალურ წყლებში, იქიდან ორჯონიკიძეში და ეჭვები აწვალებდა: «ნუთუ უფრო ძლიერია მტერი!?»

მაგრამ აი დადგა დღე—უკანდახევის სიმწარე შეტევის სიხარულმა შესცვალა. გატყდა მტერი ვოლგის ციხე-სიმაგრესთან. დასავლეთისკენ დაიძრნენ საბჭოთა ჯარები... ჰოსპიტალი, თავის არმიას კვალდაკვალ რომ მიჰყვებოდა, როსტოვთან ახლო დაბა კაიალში დადგა. აქ დაინიშნა სამედიცინო სამსახურის კაპიტანი გალინა ჯაში ჰოსპიტალის ქირურგიული განყოფილების უფროსად. აქვე მიიღო ბრძანება—თავისი განყოფილებით გადასულიყო ქ. აზოვში.

... დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა დაჭრილთა სიცოცხლის გადასარჩენად.

..., იმ დღეს, ღირსსახსოვარია ის დღე გალინასათვის, საოპერაციოში ახალგაზრდა მებრძოლი შეიყვანეს—ყუმბარის ნამსხვრევებს დაეჩეჩქვა მისთვის მარჯვენა ფეხი, განგრენის ნიშნებიც ჩანდა, თუ სიცოცხლის არა, ფეხის დაკარგვის საფრთხე მაინც ემუქრებოდა ვაჟკაცს.

«იქნებ დავიხსნათ, იქნებ გადავარჩინოთ!»—ასე ფიქრობდა განყოფილების ახალგაზრდა უფროსი მძიმე ოპერაციას რომ აკეთებდა.

საოპერაციოში მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სუნთქვა და მოკლე განკარგულება ისმის. ყველაფერი კეთილად მიმდინარეობს... «გადავარჩენთ, უთუოდ გადავარჩენთ» — იმედი ეძლევათ სიცოცხლისათვის მებრძოლებს... ჰოსპიტალის სახურავს ბომბი დაეცა. ჭერი ჩამოანგრია, კარ-ფანჯრები მილეწ-მოლეწა. ცოტა კიდევ და მთელი შენობისაგან ნანგრევები-ღა დარჩება...

შიშისაგან გაქვავებულ ადამიანებს კაპიტანის მოკლე განკარგულება ჩაესმათ ყურში:

— ფეხი არ მოიცვალოთ! ოპერაციას ვაგრძელებთ!

ამ ყოფაში ნახეს ჰოსპიტალის უფროსებმა ახალგაზრდა ექიმი. მაშინ წარადგინეს სამედიცინო სამსახურის კაპიტანი გალინა ჯაში წითელი ვარსკვლავის ორდენზე. ეს 1943 წლის გაზაფხულზე იყო.

მალე არმია—ახლა უკვე დამკვრელი არმია—ბელორუსიის მეორე ფრონტზე გადავიდა. ცეცხლის ხაზთან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ჰოსპიტალის მუშაკებმა თავიანთი ხელებით ააშენეს ბინები, დადგეს კარვები... ახლა ველარც გაჭირვებას გრძნობდნენ, არც სიცივე აწუხებდათ, არც ბელორუსიის ჭაობებს ეპუებოდნენ, თითქმის შეუძლებელს აკეთებდნენ მოახლოებული გამარჯვების სიხარულით ფრთებშესხმულნი...

... 1944 წლის აგვისტოა. გრძელდება დასავლეთისაკენ საბჭოთა არმიის ძლევამოსილი მარში. ეშელონი, რომლითაც ჰოსპიტალის მუშაკები მიემგზავრებიან, საბჭოთა კავშირის საზღვარს გასცდა...

აღსრულდა! მტერი განდევნილია სამშობლოს საზღვრებიდან! გალინა და მისი ორდინატორი ციმბირელი ქალიშვილი ვალენტინა კუზნეცოვა, ახლა რკინიგზის ბავშვთა საავადმყოფოს განყოფილების გამგედ რომ მუშაობს ქ. პეტროპავლოვსკში, ერთმანეთს გადაეხვივნენ.

«ნახვამდის, საყვარელო სამშობლოვ! მალე, სულ მალე დაგიბრუნდებით და შენს ფერხთქვეშ ძლეული მტრის დროშებს გავაფენთ!».

... უცხოეთის მიწაზეა გალინა ჯაში, დიდი განმათავისუფლებელი ბრძოლების მონაწილე ქართველი ქალიშვილი, თავის მეგობრებთან ერთად მწყობრში აბრუნებს განკურნებულ მებრძოლებს.

მეხსიერებაში ცოცხლდება აღმოსავლეთ პრუსიის პატარა ქალაქი გუმბინენი, ფაშისტებს ციხე-სიმაგრედ რომ ექციათ.

— ეს ციხე-სიმაგრე ჩვენმა არმიამ შელეწა, შემუსრა მტრის ნაწილები,—იგონებს გალინა ჯაში,—აქ გადახდილი ბრძოლებისათვის ჩვენი არმიის მთელმა შემადგენლობამ, მათ შორის ჰოსპიტალის მუშაკებმაც უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა დაიმსახურეს.

... ბუნების გაზაფხულია, კაცობრიობის დიადი გაზაფხულის მაუწყებელი.

«ფაშისტური ბერლინი დაეცა!»—ქუხილივით გადაუარა მთელს მსოფლიოს, სიხარულისა და ბედნიერების ცრემლები დაადენინა ადამიანებს.

9 მაისს გალინა ჯაში, იმ დროს აღმოსავლეთ სილეზიის პატარა ქალაქ კანტოპში რომ იყო, ამხანაგებით ბერლინისაკენ გაეშურა.

აი ბერლინი, ჯერ კიდევ ბრძოლის ბოლში გახვეული ქალაქი... რაიხს კანცელარია... ჰიტლერის კაბინეტი—დაბალჭერიანი, შავად შეღებილი. პრუსიელი ეფრეიტორი აქ, ამ ოთახში ადგენდა ადამიანთა მოსპობისა და დამონების გიჟურ გეგმებს. ჰებელსის სეიფივით დახურული და დახშული კაბინეტი...



გაჭირვებით მიცოცავს გალინა ჯაში რაიხსტაგის გადანგრეულ კედელზე, და მრავალი წარწერით აჭრელებულს, თავის წარწერასაც უმატებს:

«ვიყავი ბერლინში. 9 V 45 წ.
გალია ჯაში თბილისიდან».

* * *

ახლა გალინა ჯაში თბილისის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მუშაობს ექიმ ტრავმატოლოგად, მკურნალობს ბავშვებს—ჩვენი ცხოვრების ყვავილებს.

შინ დაბრუნებული, ღამით, როცა თავის ბუთხუზა ბიჭიკოს ტკბილ ძილისპირულს უმღერის, გამოუთქმელი სიყვარულით დასცქერის მის ნათელ სახეს.

ნურც განუცდია აწ დედის გულს ომის საშინელება!

ეროვნული ბიბლიოთეკა



კურტ ცაისლერი

# ანჟელიკა

მხატვარი
ნანი შალიკაშვილი.

მოთხრობა

ბავშვობაში ის ძალიან ნაზი და სუსტი აგებულებისა იყო. როცა ეზოს სხვა გოგონები ბიჭებთან ერთად ომობანას ან ყაჩაღობანას თამაშობდნენ, ანჟელიკა კარის ზღურბლზე წყნარად იჯდა და დედას შესცქეროდა თავისი დიდრონი თვალებით. დედას მკლავები ჩამოწყვეტილი ჰქონდა პატარა ბავშვების ტარებით. ზოგჯერ, საღამოობით ისიც ჩამოჯდებოდა ხოლმე ზღურბლზე, როცა მამას სტუმრები ჰყავდა, შეღებილი ქალები—გარეგნულად წესიერებს რომ გვანდნენ და ისე კი ლანძღვა-გინებაში მამასაც არ ჩამორჩებოდნენ. ანჟელიკას ეშინოდა ამ ქალების, ისინი შინაურებივით იქცეოდნენ სახლში და ბრძანებლობდნენ კიდეც. მამას ამაზე ეცინებოდა. ეს კიდევ არაფერი, უარესი მაშინ იყო, როცა მამა მთვრალი მოვიდოდა და დანით ემუქრებოდა ცოლსა და შვილებს.

არავინ იცის როდის დაიწყო ეს, მაგრამ მალე უკვე აღარავის უკვირდა ანჟელიკა მარტოდ რომ აღარ იჯდა ზღურბლზე. ამ ადგილს ჰერბერტ ლექსნერიც შეეჩვია. ისიც არავის გაკვირვებია, როცა რამდენიმე წლის შემდეგ ანჟელიკა და ჰერბერტი დაქორწინდნენ, ჩუმად, წყნარად და ჩვეულებრივ, ყოველგვარი ხმაურის გარეშე.

ეს იყო 1943 წელს. ომმა ჩრდილო-ბოჰემიის ინდუსტრიულ ქალაქებსაც დააჩნია თავისი მტკივნეული კვალი. ანჟელიკას უკვე შეუსრულდა ცხრამეტი წელი, მაგრამ თექვსმეტ-ჩვიდმეტზე მეტს არავინ მისცემდა. გაივსო, გულმკერდი გადაეშალა და მაინც ისევ ნაზ, სათუთ არსებად დარჩა... ამ შთაბეჭდილებას მისი დიდი, სათნოებით აღსავსე თვალებიც აძლიერებდნენ, თვალები უკვე დასრულებული ადამიანისა, რომელსაც ბევრი უნახავს და ბევრი განუცდია...

უნახავს ქმრისაგან განაწამები დედა, მთვრალი მამის მიერ ნაცემ-ნაგვემი... ღამე, დედის დასაფლავების შემდეგ, მამას რომ სხვა ქალთან ეძინა, წლების მანძილზე უპატრონოდ დარჩენილი პატარა ბავშვები და ვინ იცის, რამდენი ასეთი საშინელების მომსწრე იყო მისი ყმაწვილქალობა.

მხოლოდ ორიოდე კვირა იყვნენ ანჟელიკა და ჰერბერტი ბედნიერნი... როცა ანჟელიკამ დედობის მოახლოება იგრძნო, ჰერბერტი ჯარში გაიწვიეს... მეშვიდე თვეზე კი მისი დაღუპვის ცნობა მიიღო... მეზობლებს ეშინოდათ არ შერყეულიყო ანჟელიკა, რაც მხოლოდ შემდეგ გაუმხილეს მას...

როცა იგი საავადმყოფოდან დაბრუნდა, უფრო მოტეხილი და დაბეჩავებული ჩანდა. მკვდარი, უდროოდ გაჩენილი პირმშო და ჯანმრთელობა საავადმყოფოში დასტოვა, გონება კი შერჩა...

მისი პატარა ოთახის თავზარდამცემ სიჩუმეში აღარ შეიძლებოდა ამდენის ატანა და ანჟელიკამ გადაწყვიტა სამუშაოდ გასულიყო. მით უმეტეს, რომ ქალაქს მუშახელი სულ უფრო და უფრო აკლდებოდა. მამაკაცები და ნახევრად ბავშვები ჯარში მიჰყავდათ, მათ ადგილს კი ქალები იკავებდნენ. ასე დაიწყო მან მუშაობა მეზობელ ქუჩაზე, საფუნთუშეში.

12 საათის განმავლობაში, გათენებიდან დაღამებამდე იდგა ანჟელიკა ღუმელთან, ასუფთავებდა საფუნთუშეს, ნახშირს და შეშას ამზადებდა ღუმელისათვის. შინ დაბრუნებისას მხოლოდ ფეხებს გრძნობდა, მთელი მისი სხეული თითქოს საოცრად მტკივნეული უზარმაზარი ფეხებისაგან შედგებოდა, დანარჩენი ყველაფერი მკვდარი და ატროფირებული ჰქონდა—მთელი დღის განმავლობაში აუტანელ სიცხესა და ბუღში ყოფნის გამო.

საფუნთუშეში გაიცნო ანჟელიკამ ბერნარი.

ქალაქში «ინკვიზიცია» მძვინვარებდა. «ინკვიზიცია»—ასე უწოდა ხალხმა ვითომდა «ღირსების სამსჯავროს», რომელიც ოლქის უფროსის გამოგონება იყო, ამისათვის მან ჯვარიც კი მიიღო მადლიერი მთავრობისაგან.

ანჟელიკას არც კი სჯეროდა ქალების მითქმა-მოთქმა «ინკვიზიციის» შესახებ, სანამ თვითონ არ შეესწრო და საკუთარი თვალებით არ იხილა ეს საშინელება.

ესესელები ღრიალით და ყვირილით დაატარებდნენ ქალაქის ქუჩებში კამეჩზე მჯდომ შიშველ, თმაშეკრეჭილ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალს, რისთვის ზურგზე დაფა მიემაგრებინათ წარწერით: «მე, ბინძურმა მეძავმა, შევცოდე დიდი გერმანიის მტერთან». ანჟელიკა იცნობდა ამ ქალს, იგი საბადოების სამრეცხაოში მუშაობდა, სადაც ტყვეების ბანაკი იყო. ამბობდნენ მან ერთ ფრანგ ტყვეს პურის ნაჭერი მიაწოდაო. ესესელებს შორის ანჟელიკამ მამამისიც შეამჩნია...

ვერაფრით ვერ აეხსნა ანჟელიკას, რატომ პირველ შეხვედრისთანავე დაიწყო ფიქრი იმ ფრანგზე. ყველაფერი ისე მოულოდნელად და უნებურად მოხდა. ნასადილევს ანჟელიკა საცხობიდან პურს აწოდებდა მეფუნთუშეს. ის კი უთვლიდა ფრანგ ტყვეს, რომელიც მცველთან ერთად საბარგულზე ალაგებდა მათ ბანაკისათვის. ანჟელიკა ძალზე დაღლილი იყო, მისი ხელები უკვე ველარ იჭერდა პურს და რამდენიმე იატაკზე დაუვარდა. სანამ გაბრაზებული მეფუნთუშე რაიმეს თქმას მოასწრებდა, ტყვე ფრანგმა ზე აიტაცა პური და ქალს ღიმილით მიაწოდა «ინებეთ, გთხოვთ, ფრეილინ»,—წარმოსთქვა მან დამტვრეული გერმანულით და ანჟელიკაც სწორედ გერმანული ენის ამ უცნაურმა ქღერადობამ გამოარკვია. ფრანგს ახედა...

წასვლისას ფრანგმა ისევ გაუღიმა ანჟელიკას. ეს მისი მეუღლის ღიმილი იყო! ფრანგის ბაგეები ძლიერ წააგავდა ლექსნერისას, თუმცა იქნებ ამან კი არა—რაღაც ადამიანური გრძნობის გამოვლენამ იმოქმედა ანჟელიკაზე. ეს თითქოს დადასტურება, მისი შინაგანი რწმენის აღიარება იყო, იმ რწმენისა, რომ ამ ქვეყნად კიდევ არსებობენ კარგი ადამიანები.

საფუნთუშედან პური ტყვეების ბანაკისათვის კვირაში ორჯერ მიჰქონდათ, კვირაში ორჯერ მოდიოდა ფრანგი მცველთან ერთად. კვირაში ორჯერ ერთმანეთს ხვდებოდნენ ბერნარისა და ანჟელიკას თვალები. პირველად დარცხვენილი და მოკრძალებული მზერა თანდათან უფრო გაბედული ხდებოდა. ანჟელიკა როგორც კვირა დღეს, ისე ელოდებოდა ოთხშაბათსა და პარასკევს. ხშირად ფიქრობდა ფრანგზე, ფიქრობდა მის სახელზე, პროფესიაზე, ქალიშვილზე, რომელიც ალბათ მას სამშობლოში ელოდებოდა! გულში კი იმედი ჰქონდა—იქნებ ეს ასე არ არის... ხშირად, ღამით, საკუთარი ყვირილი აღვიძებდა, ეზმანებოდა: იმ უბედური ქალივით გაშიშვლებულს ქუჩაში რომ დაატარებდნენ ესესელები და მამამისი დაშნით ხელში.

ერთ დღეს, ეს იყო 1945 წლის გაზაფხულზე, როცა ფრანგი ჩვეულებრივად პურის წასაღებად მოვიდა, ანჟელიკამ მის მზერაში რაღაც უჩვეულო შეამჩნია. ეს იყო თხოვნა, მუდარა, თითქმის ბრძანებაც კი. მისი ღიმილიც სხვანაირი გახდა. იგი თვალებით ხშირად იატაკზე ანიშნებდა და მართლაც, როცა საფუნთუშე დაცარიელდა, ანჟელიკამ იატაკზე, ფეხებთან, პატარა ქაღალდი შეამჩნია.

«მე გენდობით თქვენ,—წერდა ფრანგი,—გთხოვთ დამეხმაროთ, მინდა გავიქცე». რომ არ წაქცეულიყო, ანჟელიკა მაგიდის ძგიდეს დაეყრდნო, რამდენიმე ხანი თვალდახუჭული იდგა, მერე უცებ გამოერკვა და ბარათი დახია.

მეორე შეხვედრისას ანჟელიკამ თვალებით ანიშნა, რომ იატაკზე დააგდებდა პასუხს. ფრანგის სახე მადლობას გამოხატავდა. ვითომდა უნებლიედ, მან პური ხელიდან გააგდო და ასაღებად დაიხარა. მცველმა მუჯლუგუნი კრა ზურგში, მაგრამ ტყვეს ბარათი უკვე ხელთ ჰქონდა. ანჟელიკა წერდა: «მე დაგეხმარებით თქვენ, მაცნობეთ დრო. დაგელოდებით ქალაქის პარკში, როზეგერის ძეგლთან», იქვე ნაჩვენები იყო გზა ამ პარკამდე.

დღეები მიდიოდნენ, ანჟელიკა მოუთმენლად ელოდა პასუხს. მან უკვე მოამზადა ქმრისეული ტანისამოსი. მისმა ოთახმაც იცვალა ელფერი, მაგიდაზე ახლა გამუდმებით იდგა ლარნაკი ყვავილებით—ფრანგის გაქცევას მან რაღაც უსაზღვროდ სასიხარულო, თითქმის ბედნიერებას კი დაუკავშირა.

ერთ პარასკევს ანჟელიკამ ისევ შეამჩნია იატაკზე ქაღალდის ნაგლეჯი. ფრანგი მადლობას უხდიდა მას და სთხოვდა კვირა საღამოს, 11 საათზე დანიშნულ ადგილას ყოფილიყო.

... ქმრის ტანისამოსით ხელში ანჟელიკა ქანდაკებისაკენ მიეშურებოდა. მისი გული გამალებით ცემდა... პარკში მოახლოვებული გაზაფხულის სურნელება იდგა. ბუჩქები და ხეები შეკვირტებული იყო, მიწა აქა-იქ მწვანე ბალახს შეემოსა. როცა ანჟელიკა როზეგერის ძეგლს მიუახლოვდა, ქალაქის საათმა თერთმეტჯერ ჩამოჰკრა. ფრანგი არ ჩანდა. ანჟელიკა მღელვარებამ აიტანა: «ვაი, თუ რამე შეემთხვაო!..» მაგრამ, აი, მის უკან ჩურჩულით გაისმა: «ფრეილინ!»—ანჟელიკა შეკრთა, ეს ფრანგი იყო. ანჟელიკამ სწრაფად გადააცვა მას ქმრის საწვიმარი და ერთად განაგრძეს გზა. როცა ქუჩაში გავიდნენ, მკლავი გაუყარა. ფრანგი გრძნობდა როგორ თრთოდა ანჟელიკა. საბედნიეროდ გზაში არავინ შეხვედრიათ. სწრაფად გააღო ანჟელიკამ სახლის კარები. კიბეებზე ფრთხილად ავიდნენ. ოდნავი გახმაურებაც კი სილის გაწნასავით ეჩვენებოდა... მაგრამ სახლში თითქოს ყველას ეძინა. როცა ოთახში შევიდნენ, ანჟელიკამ ღრმად ამოისუნთქა, დაჭიმული ძარღვები ოდნავ მოეშვა. ახლა უკვე შეიძლებოდა ფრანგისთვის ეთქვა რაიმე, პირველი სიტყვა, რომელიც თითქოს რაღაც არაჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მღელვარებისაგან არაფერი მოსდიოდა თავში, იჯდა გაოგნებული და შეჰყურებდა გამოქცეულს.

ფრანგმა ჰკითხა «რა გქვია?»

«ანჟელიკა. შენ?»

«ბერნარი. ანჟელიკა ძალიან ლამაზი სახელია».

ანჟელიკას უნდოდა ფრანგის სახელი გამოეთქვა ისე,

დასასრული იხ. მე-10 გვ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# [illegible]

ირწევა, დახტის მეხია ჩარჩოში ჩასმული მაქო დაზგაზე ჩონგურის ლარივით დაჭიმულ ძაფის ქსელზე, მისაქსელს იყოლებს აქეთ-იქით, იქეთ-აქეთ, და მტკიცე ქსოვილს ქსოვს... დაზგებს შუა ახალგაზრდა ქალი ტრიალებს. მისი სხეული. მისი ხელები თითქოს მაქოს რიტმში მღერის. ლამაზი სანახავია!..

ჰოდა, მისი შრომით მოხიბლულ რომელიმე ჟურნალის ან გაზეთის რეპორტიორს შეუძლია სურათი გადაუღოს მას. კინოოპერატორი ფირზე აღბეჭდავს მის საოცრად ჰარმონიულ მოძრაობებს. მაგრამ სულ სხვაა რადიოს კორესპონდენტის მდგომარეობა. მან სიტყვით ცოცხლად უნდა განაცდევინოს რადიომსმენელს თავისი შთაბეჭდილება.

... არის ერთი გადაცემა რადიოში, რომელიც განსაკუთრებით ქალებს უყვართ. „რადიოჟურნალი ქალებისათვის“ — ასე დაარქვეს მას ამ ორი წლის წინათ, მისი დაბადების დღეს.

„ჩვენო ქალებო! ვინც გზებსა კვალავთ შვილთა სავლელად, ვინც ამოხვეწავთ აბრეშუმს და მით ხალხს შემოსავთ, ვისაც მოგყავთ ჭირნახული ჩვენი ხალხის სასიკეთოდ და სასარგებლოდ, ვისაც მოგდევთ დედობის მადლი და ნათელი! მადლი თქვენს წმინდა, მოალერსე, ნაჯაფარ ხელებს!“ ეუბნებოდა ასე თავის მსმენელებს რადიოჟურნალი და ერთ თქმულებას იხსენებდა:

სამი დიდებული ასული იჯდა ტალავერში და ერთმანეთს თავის ხელებს აწონებდნენ. „ჩემზე თეთრი და ნაზი ხელები არავის აქვსო“ — ამბობდა ერთი; მეორე სანთელივით ჩამოქნილ, გრძელ და ბეჭდებით დამშვენებული თითებით იწონებდა თავს, მესამე იკვეხნიდა — „ჩემს ხელებს აშულები უმღერიანო“. ვერ იქნა, ვერ მორიგდნენ, ვისი ხელები ჯობდა. ამ დროს გლეხმა ჩამოიარა, მინდვრიდან შინ ბრუნდებოდა. მას უხმეს ქალებმა — შენ გაგვსაჯეო.

გლეხს გაახსენდა მზემოკიდებული, ნაჯაფარი ხელები დაღლილ-დაქანცულს ღარიბულ სუფრას რომ უშლიდა საღამოობით, და ასე უპასუხა: ყველაზე ლამაზი ხელები ჩემს ცოლს აქვს — მისი ხელების მადლი ყველა ხელის მშვენიერებას გააცუდებსო.

ახლა ქალი მარტო ოჯახის ბურჯი როდია, ან უწმინდესი სიყვარულის წყარო. ახლა ის ველ-მინდვრებზე შრომობს, ფაბრიკა-ქარხნებშიც, მასწავლებლადაც მუშაობს, საინჟინერო საქმის ოსტატია, ადამიანის სიცოცხლეს გუშაგობს, მეცნიერების მწვერვალებს ეუფლება და მთამაღალთა მბრძანებელი ხდება, სცენას და ეკრანს ამშვენებს, სპორტსაც მისდევს და კალამიც უჭირს.

ამ ქალებზე უამბობს რადიოჟურნალი თავის მსმენელებს.

ნარკვევებით გაიცნო მსმენელმა სახელოვანი ფეიქარი გალინა რაჭველაშვილი, ცაცა ქურციკიძე, ნინო ამოსოვა, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ელენე ნანობაშვილი, არქეოლოგი ნინო ხოშტარია, რომლის წინაშე „ქართლის ცხოვრების წიგნივით იშლება საქართველოს წარსული“, რომელიც ოცნებობს ოდესმე მიაკვლიოს დაძირულ დიდებულ ქალაქს ფაზისს და მით საქართველოს ისტორიის ბევრი საკითხი გაარკვიოს; ასე გაიცნეს უხვი მოსავლის ოსტატი თამარ ყუფუნია და მისი მეგობრობა რუმინეთის კოლექტიური მეურნეობის — „პიონერის“ წევრთან ტუდორა პირლოგთან, სამამულო ომის მონაწილე ექიმი კლარა ხოჭოლავა და ფოსტალიონი ქალი ნადია გამყრელიძე, ანანურის სამკითხველოს გამგე მილიცა ინაშვილი და ოფიციანტი ეკატერინე დავიდოვა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი თინათინ წერეთელი, ალპინისტები ალექსანდრა ჯაფარიძე და მარინე უთმელიძე, მოჭადრაკე ელისო კაკაბაძე...

რადიოჟურნალი ჩვენი დედების გმირულ წარსულს აცნობს მსმენელებს, ძველი საქართველოს პოეტ ქალებს, ან გამოჩენილ ადამიანთა მეუღლე-მეგობრებს.

რადიოჟურნალი გადასცემს მასალებს სხვადასხვა ქვეყნების ქალებზეც — „გმირის ქვრივობა ჯობია ლაჩრის ცოლობას“ — ისმენენ ჩვენი ქალები ესპანეთის მგზნებარე შვილის — დოლორეს იბარურის სიტყვებს, ისმენენ ირმა ფესტერ-ტელმანის მოგონებებს მამამისზე ერნსტ ტელმანზე, მოთხრობას შავკანიანი გოგონას შესახებ, რომელსაც ყველა სხვა ბავშვივით უყვარს მზე, ზიზია ფეხსაცმელი და ჭრელი კაბები, მაგრამ უფლება არა აქვს ავტობუსში თეთრკანიანის გვერდით დაჯდეს...

ნარკვევებს, პატარა ჩანახატებს ქალებზე რადიოჟურნალში ენაცვლება მიკროფონთან გამოყვანა, რეპორტაჟი.

...აი ძველი რევოლუციონერი ნინო ბერიძე უამბობს რადიომსმენელებს წარსული ბრძოლების შესახებ, მწერალი მარიამ გარიყული იგონებს თავის უკანასკნელ შეხვედრებს პაოლო იაშვილსა და ტიციან ტაბიძესთან, ვენერა ურუშაძე კითხულობს მის მიერ ინგლისურად თარგმნილ ლექსს. ინჟინერი თამარ ცაგარელი ლაპარაკობს ინდოეთში მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ...

...სტუდიაში, პატარა მაგიდაზე მიკროფონი დგას, მიკროფონთან არის პოეტი ანა კალანდაძე... სააპარატოსა და სტუდიას შორის ორმაგი, ჰერმეტულად დახშული სარკმელია. სარკმელს აქეთ გადაცემის რედაქტორი ელის ჩაწერის დაწყებას, ხმის ოპერატორი მაგნიტოფონს ამზადებს, სტუდიას ჩართავს „ყურადღება, სიჩუმე!“... და ანა კალანდაძე იწყებს... ყვება საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის ამბებს, ღელავს... აი, წაიფორხილა, უნდა გაასწოროს ნათქვამი, მაგრამ რედაქტორი აჩერებს ჩაწერას, შეცდომით ნათქვამი წინადადება თავიდან იწერება... მალე ჩანაწერი მზად არის. შემდეგ ის ცალკე სიუჟეტად ჩაექსოვება რადიოჟურნალს, რომელიც ერთ მთლიან გადაცემაზე წავა.

...ხშირად რადიომსმენელი ისმენს გადაცემას კომპოზიტორი, შემსრულებელი ან მსახიობი ქალის შესახებ, ან ჟურნალის მუსიკალურ გვერდს. სიუჟეტი მუსიკალური ჩანაწერით არის ილუსტრირებული — მარინე იაშვილი პაგანინის კაპრისს ასრულებს, ან ვერიკო ანჯაფარიძე კითხულობს ოფელიას მონოლოგს. „მრავალჟამიერით“ გვირგვინდება სამაისო მილოცვა.

რადიოჟურნალი ქალებისათვის ხშირად გადასცემს მოთხრობებსა და ფელეტონებს.

მსმენელებს, როგორც მათი წერილებიდან ჩანს, ყველაზე მეტად მაინც რჩევები აინტერესებთ, ყოველგვარი ხასიათის რჩევები — ექიმის რჩევა იქნება ის თუ დიასახლისისა, კოსმეტიკის თუ ახალი მოდების შესახებ, სხვადასხვა პრაქტიკული ხასიათის რჩევა თუ ყველაზე საგულისხმო და დიდი — შვილების აღზრდის საკითხზე: როგორ განუვითარონ ბავშვებს მეტყველება, რა წაუკითხონ შვილებს, როგორი სათამაშოები შეურჩიონ, სად წაიყვანონ.

ასე ესაუბრება თავის მსმენელებს რადიოჟურნალი ქალებისათვის.

ირინე გამყრელიძე





ფრანს მაზერელი — „მშვიდობის არმია"



დ. კაკაბაძე — „წალვერი“



დ. კაკაბაძე — „თუჯის პირველი გამოდნობა რუსთავში“



დ. კაკაბაძე — „დედა"

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნილს ბრედეფორსი — „აფრიკა ალსდგა“.

# [illegible] „შავმა აფრიკამ“

„ძვირფასო ძმაო!..

... ბიძაჩვენი მოკლულია ავტომატის ორი ჯერით. ის იმალებოდა „მაკში“, სადაც დააპატიმრეს, ჩამოიყვანეს ალჟირში და მის საყვარელ გრენადას ქუჩაზე დახვრიტეს. ძმაო, ის მოკვდა, მაგრამ მოკვდა, როგორც გმირი...

ბიძა მოკვდა, როგორც მას სურდა—სამხედრო მუნდირში, მკერდზე ჩვენი ალჟირის დროშით; ეს იყო მისი ერთადერთი სურვილი.

ძვირფასო ძმაო! ჩვენ უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ ბიძაჩვენის სიკვდილი არის ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ველზე დაცემული ალჟირელის სიკვდილი... ბიძაჩვენი, ისე როგორც სხვა ალჟირელი ძმები სიკვდილის წინ, ფიქრობდა: „ჩემი შვილები! ისინი შეიცნობენ რა არის თავისუფლება, რა არის დამოუკიდებლობა... ყველას (მათ), ვინც მოკვდა მართალი საქმისათვის, არ მართებთ გლოვა, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მათი საქმე. სწერდა ალჟირელი ქალიშვილი პატარა ძმას და შორეული ციხეში მყოფს აგრძნობინებდა სამშობლოს გულისცემას... რამდენიმე კვირის შემდეგ ამ სტრიქონების ავტორი ფრანგმა პარაშუტისტებმა ალჟირის ერთერთ ქუჩაზე დააპატიმრეს. ცივილიზებული ევროპელები ადამიანის დასატანჯავად დაესხნენ ალჟირელი ქალიშვილის სამარცხვინო წინაპრებს—შუა საუკუნეების არაბ ჯალათებს... და არაადამიანური წამების ცეცხლში გახვიეს უმწეო ასული... ოსტატურად შეთითხნეს ყალბი საბრალდებულო აქტი—ტერორისტულ საქმიანობაში მისი მონაწილეობის შესახებ, შეთითხნეს და ეწადათ ქალწულის ნაზი ბაგეებიდან ტანჯვით გამოეგლიჯათ ჩაუდენელი დანაშაულის აღიარება, ამიტომაც გამოიყენეს ფრანგმა კოლონიზატორებმა ელექტროდენიც კი—რომელიც მე-20 საუკუნის ჯალათების, გერმანელ ფაშისტთა გამოცდილებიდან შეითვისეს... მამაცი ქალიშვილი უდრტვინველად იტანდა საშინლად დამამცირებელ და მტკივნეულ წამებას. მთელ მსოფლიოს მოედო წამებული ქალიშვილის სახელი.

ჯამილა ბუხირედი,—ასე ეძახიან მას, უბრალო ალჟირელ სტუდენტს, მრგვალი სახის შავგვრემან გოგონას, რომლის დანაშაული მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, მისი განთავისუფლების დაუძლეველი სურვილია, სამშობლოსი, რომელსაც 120 წელზე მეტია სჩაგრავენ ფრანგი კოლონიზატორები.

... მაგრამ გამოიღვიძა „შავმა აფრიკამ,“ „მძინარე კონტინენტმა.“ აფრიკის ხალხებს



აღარ სურთ ქედს უმძიმებდეს მონობის უღელი. ბორკილები დაამსხვრია ეგვიპტემ და მაროკომ, ტუნისმა და განამ. ალჟირიც უკვე ოთხი წელია ბორკილების დასამსხვრევად ალმსდგარა. ძვირად უჯდება ალჟირელ ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლა: **500.000** ალჟირელი გაექცა სისხლისმღვრელ ომებს და თავშესაფარი მეზობელ ქვეყნებში ჰპოვა, **100.000**-მდე პატრიოტი იტანჯება ციხეებსა და გამასწორებელ ბანაკებში. ფრანგმა ჯალათებმა თავიანთ თავს გადააჭარბეს სისასტიკეში. იმის შესახებ, თუ რა არაადამიანურ წამებას და ტანჯვას აყენებდნენ ისინი ალჟირელ პატრიოტ პატიმრებს —აი, რას სწერს ყოველდღიური გაზეთის „ალჟე რესპუბლიკენის“ ყოფილი გამომცემელი ანრი ალეგი „...მე გავიფიქრე რომ ერთერთი ამ შემოტანილი ინსტრუმენტით დამიწყებენ ფრჩხილების დაძრობას, და მაშინვე გამაკვირვა ჩემმა სიმშვიდემ. მე დამამშვიდა აზრმა, რომ ხელებზე მხოლოდ ათი ფრჩხილი მაქვს... პატიმრებმა იცოდნენ დამასახიჩრებდნენ ისევე, როგორც მათ, მესალმებოდნენ და მამხნევებდნენ: „გამაგრდი, ძმაო!“...

ასე ჯოჯოხეთურად განაწამები წარსდგა ალჟირელი ქალიშვილი ჯამილა ბუხირედიც ბურჟუაზიული მართლმსაჯულების წინაშე. მან იცოდა, კოლონიზატორები სასჯელის უმაღლეს ზომას მიუზღავდნენ, მასაც ისევე, როგორც ხუთი შვილის მოსიყვარულე დედას ჟაკლინა გერუჟის, პატრიოტ ქალს ჯამილა ბუაზს, და ასობით მათ ბედში მყოფ ალჟირელ პატრიოტებს. „მე ვიცი, თქვენ მომისჯით სიკვდილს იმიტომ, რომ მათ, ვისაც თქვენ მსახურებთ, სისხლი სწყურიათ... მე უდანაშაულო ვარ... სიმართლეა, რომ მიყვარს ჩემი სამშობლო და მინდა ვიხილო იგი თავისუფალი... ამისთვის თქვენ წამართმევთ სიცოცხლეს—ხანგრძლივი წამების შემდეგ“... ეს იყო ჭეშმარიტი ალჟირელი პატრიოტის—ჯამილა ბუხირედის საბრალმდებლო სკამიდან წარმოთქმული სიტყვები. ჯალათის ხელმა ვერ გასტეხა მისი სიმტკიცე, მღელვარე გულიდან ვერ ამოშანთეს სიყვარული მამულისადმი... ჯამილა წარბშეუხრელი შეხვდა სიკვდილის განაჩენს „...ჩვენი დასჯით გახსოვდეთ, თქვენ ასამართლებთ თქვენი ქვეყნის თავისუფლების ტრადიციებს და მის სახელს. საფრთხის წინაშე აყენებთ მის (საფრანგეთის) მომავალს...“

მსოფლიოს მილიონობით პატიოსანი ადამიანი გულისწყრომით აღავსო კოლონიზატორთა მართლმსაჯულების განაჩენმა. მრისხანე პროტესტი გამოიწვია თავისუფლებისმოყვარულ ხალხებში, ყოველდღე ასობით წერილი, პროტესტები შედიოდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რენე კოტისა და ეროვნული კრების თავმჯდომარის ლე ტროკერის კანცელარიებში.

მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობა, პროგრესული საზოგადოებრიობა მოითხოვდა არაბი „ჟანა დარკის“ (ასე შეარქვა დასავლეთის დემოკრატიულმა პრესამ ჯამილა ბუხირედს) განაჩენის შეცვლას.

საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციების, მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის კომიტეტების, გეტინგენის უნივერსიტეტის დემონსტრანტი სტუდენტების, ჩინელი და კუბელი სტუდენტების ურყევი ნება იყო—სიცოცხლე შენარჩუნებოდათ ალჟირელი ხალხის ამაყ შვილებს.

**1958** წლის **12** აპრილს მაგისტრატურის უმაღლესმა საბჭომ (თავმჯდომარეობდა პრეზიდენტი რენე კოტი) ალჟირელ პატრიოტ ქალებს—ჯამილა ბუხირედს, ჟაკლინა გერუჟს და ჯამილა ბუაზს სიკვდილით დასჯა სამუდამო კატორღით შეუცვალა.

საფრანგეთის მთავრობამ ვერ შესძლო ანგარიში არ გაეწია მილიონობით პატიოსანი ადამიანების მოთხოვნისათვის და მგზნებარე პატრიოტებს სიცოცხლე შეუნარჩუნა. ეს იყო ხალხთა სოლიდარობის, ჰუმანურობის დიდი გამარჯვება. მრისხანედ გაისმის წამებული გმირი ქალის ხმა „...თქვენ ვერ შეუშლით ხელს ალჟირს გახდეს დამოუკიდებელი!“ და მართლაც, ამაოდ არ ადარებენ არაბები ალჟირს ფრინველის სხეულს, რომლის მარცხენა ფრთას მაროკო წარმოადგენს, მარჯვენას—ტუნისი. ახლა როდესაც ტუნისმა და მაროკომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ფრინველმა ფრთები გაშალა და ვერავითარი ძალა ვერ შეაკავებს მის ლაღ ფრენას თავისუფლებისაკენ.

რ. მელაძე

როგორც მისგან გაიგო, მაგრამ არაფერი გამოდიოდა და ბოლოს ისევ თავისებურად შეარქვა — «ბერნჰარდი.» «შენ სამშვიდობოს ხარ, არავინ დაგიწყებს ძებნას.» ანქელიკა ცდილობდა ლაპარაკით დაეფარა მღელვარება და ბერნარის გადარჩენით გამოწვეული სიხარული.

«შენ ფრანგი ხარ და საიდან იცი ჩვენი ენა?»

«როცა 4 წელიწადს გერმანიაში დაჰყოფ, ძალაუნებურად შეისწავლი, თქვა ბერნარმა და მერე ჩუმად დაუმატა, — ფრანგ მუშებს უყვართ გერმანელი პოეტი ჰაინრიხ ჰაინე».

«ჰაინე?» ანქელიკას არასოდეს გაუგონია ეს სახელი.

მან სუფრაზე გააწყო წინასწარ გამზადებული ვახშამი...

ფრანგი მიუახლოვდა ანქელიკას და მხარზე ხელი დაადო.

«შენ ძალიან კარგად მომექეცი... დიდი მადლობა... მაგრამ მე ახლავე უნდა წავიდე».

ანქელიკას სახეზე ჩრდილმა გადაურბინა, თვალები გაუფართოვდა, ხმაჩავარდნილმა იკითხა: «უნდა წახვიდე? საით?»

ფრანგმა ჩუმად უპასუხა: «იქ, სადაც ხიფათი არ მელოდება, რუსებთან, ისინი უკვე 200 კილომეტრზე არიან აქედან»,—და შემდეგ ღრმა ამოსუნთქვით დაუმატა—«მე დავბრუნდები».

ანქელიკას თითქმის აღარაფერი ესმოდა, უმწეოდ იმზირებოდა შორს, მხოლოდ ერთი გაიგო, რომ ბერნარი უნდა წასულიყო. ბოლოს გამოერკვა. გახევებული ხელებით გადასცა ქმრის ტანსაცმელი, ფეხსაცმელიც დასჭირდებაო ფრანგს და ვიდრე ბერნარი ჩაიცვამდა, პური შეუხვია და საწვიმარის ჯიბეში ჩაუდო. უჯრაში ცოტაოდენი ფულიც მოძებნა. ბერნარი უკვე მზად იყო. ისევე, როგორც წინა თვეებში, მაგრამ ახლა უფრო ხანგრძლივად, შეყურებდნენ ისინი ერთიმეორეს, მერე აკოცეს ერთმანეთს. გამომშვიდობებისას ბერნარმა უთხრა:

«ანქელიკა ლამაზი სახელია, მშვენიერი და კეთილი ქალისა». როცა ანქელიკა კარებს კეტავდა, დიასახლისის ფრთხილი ნაბიჯების ხმა მოესმა და მიხვდა, რომ უთვალთვალებდნენ. მან განგებ ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი და სიცილი. კარებთან მათ ისევ აკოცეს ერთმანეთს, როგორც ნამდვილმა შეყვარებულებმა.

ღამის სიბნელემ შთანთქა ბერნარი.

უკვე მეორე დილით ქალაქში ბერნარის ძებნა იყო გამოცხადებული, ყველგან გაეკრათ მისი სურათი. დიასახლისმა ღამის სტუმარში ბერნარი შეიცნო და ანქელიკა სადილობისას წაიყვანეს ესესელებმა. დილისათვის მათ ყველაფერი მზად ჰქონდათ ღირსების სამსჯავროსათვის და სიამოვნებით ელოდებოდნენ მსხვერპლის გამოყვნას, მაგრამ... ანქელიკა მცველს მკვდარი დახვდა საკანში. მას ვენები გადაეჭრა ხელზე და სისხლისაგან დაცლილიყო...

9 მაისს, ომის დამთავრების დღეს, ანქელიკა ლექსნერის განმარტოებულ, ბალახით დაფარულ საფლავთან უცნობი მამაკაცი იდგა. მას საბჭოთა ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა. იგი მოწიწებით დაიხარა და თეთრი ყვავილების თაიგული დასდო საფლავზე.

ეს ბერნარი იყო.

გერმანულიდან თარგმნა
ლეილა სადრაძემ.

# დედებიდან შვილებს

სახლზე მიდგმული სამზადისის კარი ღია იყო. შიგ თალხებში გამოწყობილი, დოლბანდშემოხვეული ქალი ტრიალებდა. ეზოს ბოლოში თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭუნა ჯოხს ჩირკნიდა. შევედი ეზოში და ჭიშკარი მივიხურე. ხმაურზე ქალმა შუბლი მოიჩრდილა, უცხო კაცი რომ შეამჩნია, კაბაზე ხელი ჩამოისვა, დოლბანდი გაისწორა და ჩემსკენ წამოვიდა.

მივესალმე და შევატყობინე, რომ მარგალიტა კიკვაძის ნახვა მინდოდა. დედაკაცი ღრმა მოხუცია, ყელი და სახე დაღარვია, თმა გათეთრებია, მაგრამ წელში სულ არ არის მოხრილი.

— გიგლა, ბებია, გაიქეცი კოლმეურნეობის კანტორაში და დედაშენს უთხარი სტუმარი გვეწვია-თქო თბილისიდან,—დაუძახა მოხუცმა ჯოხის ჩირკნით გართულ ბიჭუნას.

გიგლა შურდულივით გავარდა ეზოდან.

გაზაფხულია. ანათებს აპრილის მზე. სასიამოვნოდ თბილა. კოინდარით მოფარდაგებულ ეზოს გადავხედე. მარჯვნით და მარცხნით მიწა გადახნულია. ერთ მხარეს ბოსტანია, მეორე მხარეს სიმინდი უთესიათ. სიღრმეში ვენახი მოჩანს. სიმწვანე შეპარვია ხეებს, პატარა ფოთლები გამოუყრია თუთებს.

მოხუცმა შინ მიმიწვია. მესაუბრება. მარგალიტა კიკვაძე მისი რძალი ყოფილა, პატარა გიგლა შვილიშვილი, შემდეგ თავის დარდზე მიამბობს:

— ჩემი სევერიანის ჯავრმა გამტეხა და დამანელა, შვილო,—ამბობს იგი და შემჩნეულ ლაწვებზე ჩამოგორებულ ცრემლებს გამხდარი თითებით იწმენდს. სამი წლის წინათ მისი ვაჟი, მარგალიტა კიკვაძის მეუღლე, სევერიანე ავარიაში მოყოლილა და გარდაცვლილა. შემდეგ ბოდიშს იხდის, უცხო კაცს თავისი დარდით რომ მაწუხებს.

— ცუდი შვილიც რომ ჰყავდეს, დედას მაინც უყვარს, ჩემი სევერიანე კი კარგი იყო,—ამბობს იგი.

უკვირს მოხუცს, შვილის დამკარგავი თვითონ რომ დარჩა ცოცხალი, მაგრამ ადამიანი ასეთი ყოფილაო. ახლა შვილიშვილები აცოცხლებენ, მათ ბედნიერებას უნდა შეესწროს. უხარია, ქმრის გარდაცვალების შემდეგ, მარგალიტა ასე მედგრად რომ გაუძლვა ოჯახს, უკაცობა არ დაატყო, ქალობა და მეაბრეშუმეობა შეუქო რძალს.

თვითონაც თავის დროზე განთქმული მეაბრეშუმე ყოფილა.

— პარკის მოყვანას როგორ მომასწრებდა ვინმე სოფელშიო,—თქვა მან. შემდეგ თავისი გამოცდილება და საქმის სიყვარული რძალს გადაულოცა...

სწორედ ამ დროს ოთახში მისი რძალი მარგალიტა კიკვაძე შემოვიდა. იგი საშუალო ტანის, 35—40 წლის ქალია. თალხები აცვია. კეთილი სახე და ნათელი გამოხედვა აქვს. ნაღვლიანად იღიმება. ღიმილის დროს თვალებში კაეშანი უსახლდება. თუმცა ეს, შეიძლება, მეჩვენება კიდეც, რადგან ვიცი მისი დარდი.



დასავლეთ საქართველოს რაიონების მოწინავე მეაბრეშუმეთა თათბირის მონაწილეების ერთი ჯგუფი. მარცხნიდან მეორე მარგალიტა კიკვაძე.
ფოტო ვ. ვახტანგაძის და ვ. დვალისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წყალტუბოს რაიონის სოფელი ფარცხანაყანები მეაბრეშუმეობითაა განთქმული. ამ სოფლის მკვიდრია მარგალიტა. აქ დაიბადა და გაიზარდა იგი. დედამისიც კარგი მეაბრეშუმე იყო, თავის ქალიშვილს ხშირად იშველიებდა შრომაში და კიდეც შეაყვარა ეს საქმე. თვრამეტი წლის მარგალიტა თავისივე სოფლელ სევერიანე კიკვაძეს მიათხოვდა.

გაიარა თაფლის თვემ, მას სხვა თვეებიც მოჰყვა, ახალი ოჯახი... შემდეგ ვაჟი შეეძინა. გურამი დაარქვეს. მარგალიტა თავის დედის კვალს გაჰყვა — მეაბრეშუმეობას მოჰკიდა ხელი.

1941 წელი... ომი, ქმრის ჯარში გაწვევა, უკაცოდ დარჩენილი ოჯახი, გაჭირვების დღეები, დღედაღამ შრომა...

დამთავრდა ომი. ომგადახდილები შინ დაბრუნდნენ. მარგალიტამ ქმარს წაუქცეველი ოჯახი დაახვედრა. საჭირო იყო მეტი გარჯა. და მანაც ქისტაურელ მეაბრეშუმეთა გამოცდილების გამოყენებით ჭიის გამოკვების პერიოდი 40—45 დღიდან 22-მდე შეამცირა, ხოლო ნახევარ კოლოფ თესლზე 90 კგ პარკი მოიყვანა და ეს თორმეტი წელია საქართველოში ყველაზე ადრე აბარებს აბრეშუმის პარკს.

— როცა ჭიას აპურებ, სხვა რამისთვის ვეღარ მოიცლი, ძილი და მოსვენებაც არ არსებობს,—ამბობს თავისი კაეშნიანი ღიმილით მარგალიტა.

ათი წლის წინათ მარგალიტა მეაბრეშუმეთა მერგოლური გახდა. იგი კარგად ხელმძღვანელობს რგოლს, გეგმას ორნახევარჯერ ამეტებს და, გარდა ამისა, ჩაის პლანტაციაშიც მუშაობს, ეწევა მებოსტნეობას, მოჰყავს სიმინდი...

იგი ორჯერ გახდა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე და ორივეჯერ ბრინჯაოს მედლით დააჯილდოვეს.

მარგალიტა უყვართ თანასოფლელებს. აფასებენ, პატივს სცემენ. შრომამ ცნობილი და სახელოვანი გახადა იგი. ამიტომ იყო, რომ სამჯერ აირჩია ხალხმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ქმრის გარდაცვალებამ ძლიერ იმოქმედა მასზე, თვალებში ცრემლი გაუხშირდა, გულში დარდმა დაისადგურა. მაგრამ დარდს ვერ გაეთელვინებოდა. საჭირო იყო ბავშვების დაზრდა, გზაზე დაყენება, ოჯახის გაძღოლა. საჭირო იყო ცხოვრება...

მას სამი შვილი ჰყავს: უფროსმა—გურამმა 11 კლასი გასულ წელს დაამთავრა და ახლა მეცხოველეობის ფერმაში მუშაობს, ლიანა მეცხრე კლასის მოსწავლეა, ხოლო გიგლა—მეექვსე კლასისა.

ამ ცოტა ხნის წინათ ლიანამ დედას თხოვა, ორი გრამი გრენი მისთვისაც მოეტანა. ლიანა ხშირად ეხმარებოდა დედას, მეაბრეშუმეობა შეუყვარდა და ახლა სურს თვითონ გამოკვებოს ჭია.

გავა ხანი, ლიანა კიკვაძეც მეაბრეშუმე გახდება. იგი გააგრძელებს დედისა და ბებიის გზას და ასე გადაეცემა ეს საყვარელი საქმე დედებიდან შვილებს.

ხ. კორინთელი.

# მას შემდეგ 25 წელი გავიდა



... ახალგაზრდა გოგონამ ფრთხილად შეაღო რაიონული სტამბის დირექტორის სამუშაო ოთახის კარი და მორცხვად შეჩერდა.

— მობრძანდით, ქალიშვილო,—ტკბილად შეეგება მას სტამბის დირექტორი ივანე შჩოლკა და ხკამი შესთავაზა.

— გმადლობთ!

— რაშია საქმე, რა გნებავთ?—შეეკითხა ივანე.

— მინდა ასოთამწყობი გავხდე. გთხოვთ მიმიღოთ მოწაფედ,—თქვა გოგონამ და მუდარით სავსე თვალებით შეხედა დირექტორს.

— მერე იცი კი როგორ ძნელ და პასუხსაგებ საქმეს კიდებ ხელს? ასოთამწყობობა მეტად დაძაბულ და ყურადღებიან მუშაობას მოითხოვს. როგორ ფიქრობ, შეძლებ?

— შევძლებ,—გაბედულად უთხრა გოგონამ,—ოღონდ დამეხმარეთ, და ყველაფერს გავაკეთებ.

... და აი, მეორე დღეს იგი ისევ მოვიდა სტამბაში, ამჯერად როგორც მოწაფე.

ეს შავგვრემანი და მორცხვი გოგონა რომელსაც ასე გულით უნდოდა ასოთამწყობობის შესწავლა, ნინო ჭაკუა იყო.

სტამბაში მოსვლის დღიდან ხარბად შეუდგა მეცადინეობას. გამოცდილმა და თავის საქმით ღრმად დაინტერესებულმა სპეციალისტმა ივანე შჩოლკამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი გოგონას დაოსტატებას.

თავდადებით მუშაობდა ნინო. იგი ხშირად მთელი დღის განმავლობაში არ მიდიოდა შინ. უნდოდა რაც შეიძლება ჩქარა დაეწყო დამოუკიდებელი მუშაობა.

ახალგაზრდულმა ენერგიამ, ბეჯითობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. ერთი წელიც არ იყო გასული, რაც ნინო სტამბაში მოვიდა და იგი უკვე საამწყობო კასასთან იდგა არა როგორც მოწაფე, არამედ როგორც ასოთამწყობი.

... მას შემდეგ 25 წელი გავიდა.

— რა ჩქარა გაფრინდნენ წლები,— ამბობს ახლა ნინო,—თმები შემევერცხლა უკვე, მაგრამ ჯანი მაინც გაუტეხელი მაქვს. თუნდაც მთელი 24 საათი თავაუღებლად ვიმუშაო, დაღლას მაინც არა ვგრძნობ. მიყვარს ჩემი საქმე, ალბათ ამიტომ მეადვილება მუშაობაც.

რამდენი ცხარე დღე ახსოვს ნინოს ამ ჭერქვეშ, რამდენი თეთრად გათენებული, უძილო ღამე.

ყოველთვის გულისფანცქალით ელის გაზეთის ახალი ნომრის გამოსვლას, ძლელვებული კითხულობს მისი ხელებით აწყობილ სტრიქონებს და გული სიამით ევსება.

გულისხმიერი, თავმდაბალი ადამიანი საქმის მცოდნე, დაუღალავი და კარგი ასოთამწყობი, მშრომელი და მეოჯახე დედა—ასე იცნობენ ზოზის რაიონის მშრომელები რაიონული სტამბის ასოთამწყობს ნინო ერმილეს ასულ ჭაკუას.

ამხანაგები პატივს სცემენ ენერგიულ მუშა ქალს. მისი კეთილსინდისიერი საქმიანობა სათანადოდ არის დაფასებული—იგი მეხუთედ აირჩიეს რაიონული საბჭოს დეპუტატად. როგორც ალმასკომის წევრი, ნინო მონაწილეობას იღებს რაიონის წინსვლის ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების საქმეში. როგორც პროფორგანიზატორს ხშირად ნახავთ კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ზოზის რაიონულ კომიტეტში, ზრუნავს თანამშრომელთა ჯანმრთელობის, დასვენებისა და კულტურული მომსახურეობის გაუმჯობესებისათვის.

... ახლახან ახალი სიხარული განიცადა ნინომ. მას შვილიშვილი შეეძინა. პატარა მარინემ ულევი სიხარულით აავსო ბებიას გული, ბებიასი, რომელსაც ჯერ 38 წელიც არ შესრულებია.

ბედნიერი დედა, სახელოვანი მუშა დგას საამწყობო კასასთან და სიმართლით ნაჭედ სტრიქონებს აწყობს.

მერი აბრამია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაუსრულებელი სიყვარულის სიმღერა

**ეთერ ჟორჟოლიანი**

კარგახანია ზაფხული მიიწურა.

ის დროა, როცა ქუჩის იმ მხარეს ირჩევ სასიარულოდ, რომელსაც მზე ადგია.

შორეულ მთებს, ვით ნაადრევი ჭაღარა, თოვლის სითეთრე შეპარვია.

ახალგაზრდა ჭადრების რტოები დაბლა დაშვებულა და ვაჟკაცის მტკავლისოდენა ყვითელი ფოთლები გზისპირად გაწოლილ გატრუნულ ღელეში ტყლაშუნით ცვივა.

ღელის ერთ ნაპირას ხის ლამაზი სახლებია ჩარიგებული. სახლებს წინ და გვერდით საკმაოდ მოზრდილი ეზოები აკრავთ. ეზოში რომ მოხვდეთ, უნდა გადახვიდეთ პატარა ხიდზე, რომელიც ყოველი სახლის წინ შეგხვდებათ.

ხიდზე ხუთი-ექვსი წლის თბილად ჩაცმული ბუთხუზა ბიჭი წევს და ხელებს ასავსავებს.

წყალს ცურვით მიჰყვებიან ჭრელი იხვები, მიუახლოვდებიან თუ არა ხიდს, ბიჭი ხელებს აუქნევს და ისინიც ვიტი-ვიტის ძახილით ტყაპატყუპით ნაპირისაკენ გარბიან.

ბიჭუნას ეტყობა ძალიან მოსწონს თავისი საქმიანობა, კმაყოფილებით ეღიმება და ცხვირის ნესტოები ებერება.

მოშორებით, კიბის საფეხურზე ხანშიშესული შავგვრემანი ქალი ზის და გზას გაჰყურებს. ხანდახან მის ნაოჭიან სახეზე მსუბუქი ღიმილი გადაირბენს.

რა ნაცნობი სახეა, რა ნაცნობი თვალები?!

სად მინახავს ეს თვალები შავი, უძირო, სევდიანი...



სონია ხალილოვა შვილიშვილებთან.



ჟორა და ვალენტინი მუშაობის დროს.

ფოტო გ. გერსამიახი.

ასე მგონია, ერთხელ მაინც ჩამიხედავს მათ სიღრმეში. ბავშვობისას ერთხელ მაინც შევხებივარ ხელით ან ხორბლისფერ ლოყებს, ზღვის ტალღებივით ჩატეხილ თმებისთვისაც ხშირად გამიყოლებია, შურიანიო რომ იტყვიან, ისეთი მზერა.

ზის შავგვრემანი, შავთვალწარბა ქალი და გაჰყურებს გზას. ფართო შარაგზა უზარმაზარ შესასვლელამდე მიდის. იქვე პატარა მოედანია. ბოლავენ მილები... შორს გათეთრებული მთებია, ვინ იცის, რას აგონებს ეს მთები მოხუცს?!..

იქნებ — ყირიმის მთებს, მიხვეულ-მოხვეულ გზებს, ფურგონების ბორბლების რიხინს, უტკბილეს სიმღერებს — ნაღვლიანს, გაბმულს... გაუთავებელ ხეტიალს, ადრე გაზაფხულზე ზვავის დაგორებასთან ერთად რომ იწყებოდა, ან იქნებ — გვიან შემოდგომაზე მიწურების გათხრას სადმე, რომელიმე ქალაქის მისადგომებთან, საიდანაც ოცნებასავით მოჩანდა ელნათურების შუქში შეცურებული ქალაქი...

ღამით შუაცეცხლთან კარტს გაშლიდა ხოლმე ბოშა... მერე შესთხოვდა ღმერთს, რომ ხელი მოემართა ცხოვრებაში, მაგრამ მისი ბედი მაინც დემონებისა და ეშმაკების ხელში იყო.

მთელი ზამთარი ამ მიწურებში ემალებოდნენ ნახევრადშიშველი ბოშები ყინვასა და შიმშილს. გაზაფხულზე კი გატყდებოდა თუ არა ყინული, გრძელ, ატეხილ გზებზე გამწკრივდებოდა ფურგონების ქარავანი. ისევ ბორბლების რახარუხი, ცხენების ფრუტუნი, გაუთავებელი სევდიანი სიმღერა, კოცონი, მასზე დახეთქილ ხელებს რომ ითბობდნენ, ცეცხლის ალზე განათებული, ცრემლჩამდგარი, უძირო შავი თვალები...

იქნებ ის თვალები სონია ხალილოვასი იყო? მას ხომ ფეხით შემოუვლია მთელი ყირიმი. მისთვის ნაცნობია ყოველი კუთხე. გული სტკივა მოხუცს თავისი წარსულის გახსენებაზე. კარგად არც ახსოვს, სად დაასაფლავა ექვსი შვილი, დაუსრულებელი ხეტიალისა და გაჭირვების მსხვერპლნი რომ შეიქნენ.

საყმაწვილომ ჯერ ორი შვილი ვანია და ბერჯანი მოსტაცა, 8 წლის გოგონა—ბენია კი წვიმიან ღამეში გაცივდა, ფილტვების ანთება დაემართა და ველარ გადაარჩინეს.

ერთხელ, ზამთარში, ქარსა და ყინვაში ბოშებმა მინდორზე შეისვენეს, კარვები გაშალეს, ცეცხლი დაანთეს, ზედ ქვაბები შემოდგეს და კერძის მოხარშვამდე გარს შემოუსხდნენ.

სონიას ოჯახობა იქვე, ნახევრად დანგრეულ სახლში დაბინავდა. სიჩუმე და ძილი ჩამოწვა ირგვლივ. შუაღამე გადასული იქნებოდა, რომ ბავშვის ტირილმა მყუდროება დაარღვია. დედის გვერდით მწოლარე ერთი წლის ალიოშა ტიროდა. ვერ გაუგეს რა აწუხებდა პატარას... სად იყო ექიმი...

ასე გაბმულად იტირა ბავშმა სამი დღე, და მეოთხე დღეს თოვლიან მინდორში გათხარეს პატარა საფლავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ კიდევ ორი შვილი მიაბარა მიწას მოხეტიალე ბოშა-ქალმა.

...ეს იყო ოცდაათი წლის წინათ — სონიას უფროსი შვილის, საიდის კვნესა და ქმრის ღრიალი შემოესმა. იქითკენ გაიქცა, მაგრამ ახლოს მისვლა ვერ გაბედა. გამხეცებული მამა მათრახით სცემდა შვილს იმისათვის, რომ მან ბოშათა ბანაკის დატოვება განიზრახა.

საიდმა მაინც დასტოვა მოხეტიალე ცხოვრება, ქერჩში მძღოლთა კურსები დაამთავრა, მუშაობა დაიწყო და დაქორწინდა.

დედის გული გაქცეული შვილისკენ მიიწევდა. ერთ საღამოს საიდის კარზე დააკაკუნა მშობელმა. ამ დღიდან სონია შვილის ოჯახში დარჩა.

არ გასულა დიდი ხანი და დედის კვალდაკვალ მამაც მოვიდა. მოხეტიალე ბოშებს კიდევ ერთი წევრი გამოაკლდათ.

...დღეს კი ავტოქარხნისკენ მიმავალ გზას გაჰყურებს სონია ხალილოვა — შვილებსა და შვილიშვილებს მოელის სამოცდაათი წლის მოხუცი...

ორი შვილი მსახიობი ჰყავს სონიას, ერთი მოსკოვშია, მეორე ტაშკენტში, ქალიშვილი ნადია არმავირში ცხოვრობს.

დანარჩენები ქუთაისის ავტოქარხანაში მუშაობენ. საიდი, სამამულო ომის მონაწილე ავტობაზაშია მძღოლად, ნიკოლოზი ექსკავატორზე მუშაობს. ლოლია კონვეიერის მღებავია. სულ უმცროსი, ოცდაერთი წლის ანა კი — დამხარისხებელი.

გავიაროთ საამქროებისაკენ, იქნებ სონიას ოჯახის რომელიმე წევრს წავაწყდეთ, ვნახოთ როგორ მუშაობენ, რას აკეთებენ?

...შორიდანვე გამაყრუებელი ხმაური ისმის, ეს შასის საამქრო. უთვალავი დანადგარი ხმაურობს და აღარ იცით, საით მიიხედოთ, ყველაფერი საინტერესოა.

აგერ, მაღალი, შავთვალება ახალგაზრდა ვაჟი ჩარხებს დასტრიალებს. თუ ამ რიტმული ხმაურიდან რომელიმე გამოეთიშა, მაშინვე იქ გაჩნდება... რამდენიმე წუთი და ისევ გრძელდება ხმაშეწყობილი ხმაური.

კმაყოფილი სახე აქვს ჟორას, თავის საქმეს ამთავრებს და ლურჯ ტანსაცმელში გამოწყობილი შავგვრემანი ბიჭისაკენ მიდის, რომელიც ჩარხს ატრიალებს. ისმის ხრიალი, ბრუნავს ბორბალი, ძირს ცვივა ათასფრად მბზინავი რკინის თხელი ბურბუშელა.

—როგორ არის საქმე? — ეკითხება ჟორა უმცროს ძმას.

ვალენტინი თავს იღებს, ცალ წარბს ზემოთ წევს და ზანტად ამბობს „კარგად“...

ვალენტინმა შარშან დაამთავრა შვიდი კლასი და საავტომობილო ტექნიკუმში განაგრძო სწავლა. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ინსტიტუტში სწავლაზე ოცნებობს.

მას მოგრძო, ნაცრისფერი თვალები აქვს. როცა მზე ჩახედავს, გეჩვენება, რომ ისინი მწვანე ფერისაა. იშვიათად იღიმება. ამ ღიმილში უცნაური სევდაა ჩამალული. ეს, ალბათ, მისი წინაპრების ნაღველია, ლუკმა-პურისათვის კარდაკარ ხეტიალში რომ დასჩემდათ და შემდეგ თაობიდან თაობას გადაეცა.

ვალენტინს კი არაფერი აქვს სანაღვლო, შინ მოსიყვარულე ბებია ელოდება. თბილია მშობლიური სახლის კედლები! მიუხარია ოჯახში, სადაც საღამოობით ყველანი თავს იყრიან.

უმცროსი ძმა ვიქტორიც მალე შინ შევა, ახლა რომ აკაციის ხეზეა გასული და კენწეროში წითელი მაუდის ნაჭრებს ამაგრებს. ქვევით, ხიდზე გაწოლილი ბიჭუნა კი, იხვებს დააფრთხობს თუ არა, ახედავს მას და ასძახის „ის დროშა უფრო მაღლა ასწიე!“

კიბის საფეხურზე ზის ბოშა ქალი და თვალს არ აშორებს მის წინ გაწოლილ ფართო შარაგზას, ავტოქარხნის შესასვლელისაკენ რომ მიემართება. ამ გზით შვილებსა და შვილიშვილებს მოელის იგი.

ავტოქარხნისკენ მიმავალ ქუჩას მრავალსართულიანი სახლები ამშვენებს. მოკლე ხანში იქ, ახალ ბინაში გადავა ხალილოვების ოჯახიც.

— მოდიან! — იძახის აკაციის კენწეროზე გასული ვიქტორი, მან შორიდანვე გაარჩია თავისი ძმები — ჟორა და ვალენტინი.

— აგერ, ლოლიაც გამოჩნდა, — და ვიქტორი კისრისტეხით ეშვება ძირს.

მსუბუქმა ღიმილმა გადაირბინა მოხუცის დანაოჭებულ სახეზე, წამოდგა, ხიდს მიუახლოვდა...

ახლადტანაყრილ ჭადარს კიდევ ერთი ფოთოლი მოსწყდა და ტაატით წაიღო ღელემ.




ღია კაკაბაძე

ის ყოველ დილით გამოდის. დილით კი არა, უთენია, დაბლა ჩასასვლელ საფეხურებს ითვლის და აი, ქუჩაც. — გამარჯობათ, — უნდა ვიღაცას უთხრას, მაგრამ არავინაა. წყინს და სახეზე მაინც სიხარული აქვს — დედაა.

ძველი ხარფუხი იშმუშნება და ზანტად იღვიძებს.

— დაგასწარი, რა ხანია გათენდაო, — და წითელკაბა ქალი ქუჩას გამართული მიუყვება. გზად ბანიანი სახლები ხვდება, დარაბები კი კვლავ დაკეტილია.

— გაჯობეთ?

ეღიმება და ჩერდება.

მანქანის ხმა ესმის. პირველ რეისზე მიმავალი ავტობუსი ყოველთვის აქ უსწრებს.

დგას და იცდის.

ქალი შეხვდება მძღოლი თუ...

ქალია, და ძველ ნაცნობს შორიდან ხელს უქნევს.

მანქანა სვლას უკლებს, თითქმის ჩერდება.

— აზნიფ, მომილოცავს.

და ერთადერთი მგზავრიც, ცარიელ ავტობუსში რომ ზის, ულიმის.

ულოცავს?

რა ვუყოთ რომ უცნობია. ოცდარვა წლისაა და ხუთი შვილი ეზრდება.

მისალოცია.

მისი ქუჩაც. მოვიდა და დახვდა ათი წლის ნაცნობი. სულ პირველად, აქ რომ ცოცხით ხელში გაირბინა. ნაწნავები წვრილად დაწნული ჰქონდა, კაბა — სადაფის ღილებიანი.

ახლაც ისეთივეა. თვალები კვლავ შავად უელავს, ხანდისხან წამწამებით რომ იჩრდილება.

ახალი, მაგრამ კვლავ წითელი კაბა აცვია. უხდება და თავი მოსწონს.

იეზიდია.

მისი ქუჩა. მოვიდა და დახვდა გულღიად, ისე, როგორც ყოველთვის. არაფერი შეცვლილა მას შემდეგ, რაც არ უნახავს. რამდენიმე თვეა კი, რაც მიატოვა. განა მისი ბრალია? ჯერ სულ თოთოა მისი ედიკა და რა ექნა დედას?

სარწყავით ხელში ქუჩის თავში მიდის, თვალი ნაცნობი აივნისკენ გაურბის და ზემოთ იხედება — აივანზე კვლავ ბავშვების საცვლებია და ეღიმება — კარგად ყოფილან.

ახლა მისიანები ახსენდება. ნეტა ხომ არ გაიღვიძეს? დილაზე ქმარი შეპირდა შენზე ადრე დავბრუნდებიო. ალბათ, უკვე შინ არის. მშვიდდება და ქუჩის ბოლოში გადის.

ორივენი ერთ ტრესტში მუშაობენ — ქუჩებს ასუფთავებენ. თითქის ქმარი სჯობს, მაგრამ ქალაქის საბჭოს დეპუტატად მაინც აზნიფ ალოევა აირჩიეს. ნეტა რატომ? თუმც სხვებმა უკეთ იციან.

სამუშაოს ამთავრებს და შინ ბრუნდება. სხვები კი სამუშაოზე ახლა მიდიან. პირველ მგზავრებს ხვდება და სირცხვილი არ აწუხებს — გაკრიალებული ქუჩა დაახვედრა. წითელკაბა ქალი ქუჩას გამართული მიუყვება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისელ მანდილოსანთა ჩაცმულობა

ქართველ ქალთა ეროვნულ ტანსაცმელს ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავდა მნახველი. რამდენი მოგზაური თუ უცხოელი სტუმარი აღფრთოვანებულა ჩვენი ქალების ლაზათიანი ჩაცმულობით, რამდენ მწერალს აუწერია თავსაბურავიან ქართველ ქალთა ეშხი.

ჩვენამდე მოღწეულ ტანსაცმელთა ნიმუშებს გარდა, ქართველ მანდილოსანთა ჩაცმულობაზე წარმოდგენას გვაძლევს ძველი ქართული მხატვრული ლიტერატურის შედევრები—«ვეფხის-ტყაოსანი», «ვისრამიანი», «ამირან-დარეჯანიანი».

ქართული ჩაცმულობის შესახებ საინტერესო მასალას ვპოულობთ ვახუშტის «საქართველოს გეოგრაფიაში».

ქართული ჩაცმულობა დღემდე არ არის ამომწურავად შესწავლილი, მაგრამ ის შრომები, რომლებიც ლ. ბოჭორიშვილს, ი. ციციშვილს, დ. ფანასკერტელ-ციციშვილს, ნ. ალექსი-მესხიშვილს ეკუთვნით, ერთგვარ წარმოდგენას მაინც გვიქმნის ქართველი ქალის დარბაისლური და მეტად გემოვნებიანი ჩაცმა-დახურვის შესახებ.

როცა ძველი თბილისის ქუჩებში ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი ბანოვანნი გამოვიდოდნენ, თითქოს ქალაქს სილამაზე ემატებოდა. მართალია, სხვადასხვა წოდების თბილისელ მანდილოსნებს სხვადასხვა ღირებულების ტანისამოსი ეცვათ, მაგრამ მათი ჩაცმულობის ერთიანი ფორმა მაინც დაცული იყო.

ქალის ჩაცმულობას შეადგენდა ყურთმაჯიანი, სარტყელ-გულისპირიანი კაბა, ანდა როგორც კახეთში უწოდებდნენ «წელიანი» კაბა, თავსაბურავი, ფეხსაცმელი, საცვალი და ზემოდან ჩასაცმელი ტანისამოსი.

კაბა ორი ნაწილისაგან შედგებოდა: წელქვედას (ანუ დაბლა ტანს) ოთხი-ხუთი ნაჭრისაგან კერავდნენ, იგი კოჭებამდე გრძელი იყო, განიერი, უკან ნაოჭასხმული, ბოლოში მიტკლის განიერი ქობა ჰქონდა დადებული. თუ კაბა თხელი აბრეშუმისა იყო, მას მთლიანად სარჩულს უდებდნენ, რომ ტანზედ კარგად მდგარიყო.

წელზედა (ანუ კანძოლი) 6 ნაჭრისაგან შედგებოდა და ტანზე მომდგარი იყო. კაბის ორივე ნაწილს უკან გადააკერებდნენ. წელქვედას გვერდზე დუგმით იკრავდნენ. «კანძოლის» ნაპირები გულისპირის ჩასადგმელად ერთმანეთისაგან დაშორებული იყო.

სახელოს ქართულ კაბას მხრისთავთან აკერებდნენ. იდლიიდან ბოლომდე ის შეხსნილი იყო და ბოლოვდებოდა სამკუთხა ნაჭრით, რომელსაც ყოში ეწოდებოდა. სახელო მაჯასთან ხელისგულის მხარეზე იკვრებოდა. ჩახსნილი მკლავებიდან მოჩანდა «მაჯა-ფარფარა» სახელო, რომელსაც კაბის ჩაცმამდე იცვამდნენ. ცალკე მზადდებოდა გულისპირი, რომელიც ყელთან ოდნავ ამოჭრილი იყო. სარტყელი ვიწრო ქამრისა და კაბის ბოლომდე დაშვებული ორი ტოტისაგან შედგებოდა. სარტყელ-გულისპირი ერთნაირი ნაჭრისა იყო—ხავერდის, ან ოქრომკედით და მძივებით ნაქარგი ფარჩა-აბრეშუმისა. უფრო გვიან, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ხმარებაში შემოვიდა ლამაზსახიანი-ყვავილიანი აბრეშუმის ან მოარის სარტყელ-გულისპირი.

მაღალი წრის მანდილოსნები საკაბედ ძვირფასს შრიალა და მძიმე ქსოვილებს—დიბა-სტავრას, ზარბაფთს, დარაიას (ფარჩეული), ლარს (აბრეშუმი), ოქსინოს (ოქროთნაქსოვი ხავერდი) ხმარობდნენ; ღარიბები კი იაფფასიანი ქაშმირის, შალის და ჩითის კაბებს ატარებდნენ.

განსაკუთრებით უხდებოდათ ქალებს თავსაბურავი, რომელიც ჩიხტა-კოპის, ლეჩაქის, ბაღდადის, შუბლის ქინძისთავის, თავიანი ქინძისთავებისა (ლეჩაქებისა და ბაღდადის დასამაგრებლად) და თავშლისაგან შედგებოდა. ჩიხტას შრეშწასმული ქაღალდისაგან ამზადებდნენ. მისი წინა ნაწილი რკალისებური იყო, უკანა კი ბრტყელი და დაქანებული, რომ თავზე მორგებულად მდგარიყო. მას გარს აკრავდნენ მარგალიტით მოოჭვილს ანდა სადა შავ ხავერდს. თუ ჩიხტა სადა იყო, მას შუბლის თავზე უკეთებდნენ ძვირფასი თვალმარგალიტის ეგრეთწოდებულ შუბლის ქინძისთავს (მიღებული იყო წყვილი, ვერტიკალურად განლაგებული შუბლის ქინძისთავი).

ლეჩაქს კერავდნენ სამკუთხა ფორმით, გამჭვირვალე თეთრი ქსოვილისაგან — ბლონდის, ტულის, ატლასის ან ტალატანისაგან. მას გარშემო ავლებდნენ აბრეშუმის ძაფით ნაქსოვსა და ოქრომკედით ნაკერ ფოჩს.

როგორც ნ. ალექსი-მესხიშვილი აღწერს, გასათხოვარი ქალები თავის დახურვის დროს ყელს არ იფარავდნენ, რასაც «ყელჩენით დაბურვა» ეწოდებოდა; გათხოვილი ქალები კი ყელს ლეჩაქის ერთი წვერით იფარავდნენ. ამას «ყელხვევით დაბურვა» ერქვა.

ქართველი მანდილოსნები ჩიხტას რომ დაიდგამდნენ, ლეჩაქის გადაფარებამდე ჩიხტაში კოპს სდებდნენ (ირიბად აჭრილ ფერად აბრეშუმის ნაჭერში ახვევდნენ ბამბას და ნეკის სიმსხოზე კერავდნენ). კოპი ჩიხტას ზემოთა ნაპირს შიგნიდან რკალივით მოედებოდა. ჩიხტაზე გადახურულ ლეჩაქს ქინძისთავით კოპზე და ჩიხტის გვერდებზე ამაგრებდნენ. ბოლოს კი, ზემოდან იხურავდნენ შავს ან ფერად ბაღდადს და მასაც ქინძისთავებით ამაგრებდნენ. ბაღდადს ხმარობდნენ მხოლოდ საგარეოდ. მგლოვიარეებს კი ყოველთვის და ყველგან შავი ბაღდადი ეხურათ. თავდახურულ ქალებს წელზე ორი ნაწნავი ანუ დალალი ეყარათ. ლოყებთან კი ჩამოშვებული ჰქონდათ კავები.

ფეხზე ქალები იცვამდნენ მესტებს, ქოშებს, ფლოსტებს, ჩუსტებს, მაშიას (ქუსლებიანი ფეხსაცმელი) და შინნაქსოვი მატყლის ან აბრეშუმის წინდებს. ახალგაზრდები უმეტესად ფერად ფეხსაცმელს ატარებდნენ.

შიდასაცვალი შედგებოდა პერანგისა და უფრო მეტად წითელი ფერის შეიდიშისაგან. საცვლებს იკერავდნენ ჩითისას, ყუმაშისას (ნარმისებური ქსოვილი), უფრო კი თავთისას. პერანგი მაჯებფარფარა, გრძელი, განიერი და დაბლა გვერდებშეხსნილი იყო. შეიდიში შარვალივით იკერებოდა. იგი ზემოთ განიერი იყო და მასში გაყრილი ხონჯარით (აბრეშუმის ან უბრალო ძაფით მოქსოვილი გრძელი და ნაპირებზე ფოჩებიანი ზოლი) იკვრებოდა. შეიდიშის ტოტები გრძელი იყო და ქვემოთ ვიწროვდებოდა. მის ბოლოებს ოქრომკედით ქარგავდნენ.

კაბის ქვეშ ქალები ზაფხულში თავთის ან ყუმაშის, ხოლო ზამთარში დაბამბულ «იუბკას» იცვამდნენ.

მანდილოსანთა ზედასაცმელი მრავალნაირი იყო. მათ შორის ყველაზე ლამაზი და მოხდენილი ზემოდან ჩასაცმელი ქათიბი იყო, რომელიც შინდისფერი ან ალუბლისფერი ხავერდისაგან იკერებოდა. წელში გამოყვანილ ზედასაცმელს მიკერებული ჰქონდა რამდენიმე კალთისაგან შემდგარი ნაოჭასხმული ქვედა ნაწილი. წინ მთლიანად ჩახსნილი ქათიბი გულს ქვემოთ რამდენიმე ღილით იკვრებოდა. იღლიებიდან ბოლომდე ჩახსნილი ქათიბის სახელოები მაჯასთან იკვრებოდა. ქათიბს წინ, კალთებს გარშემო და ყოშის ირგვლივ ბეწვი ჰქონდა მოვლებული.

ზემოდან ჩასაცმელ შავ და თალხი ფერის უსახელო წამოსასხამს—«ტოლომას» ანუ «ტალმას» მეტწილად ხანშიშესული მანდილოსნები ატარებდნენ.

საზაფხულო ზედასაცმელი უმთავრესად შავი ფერის თხელი ქსოვილისაგან იკერებოდა. მისი სიგრძე მუხლებამდე სწვდებოდა, ბეჭებში გამოყვანილი იყო და სახელოები განიერი ჰქონდა. საყელოს, წინა გულს და მაჯებს მძივებით ან აბრეშუმ-ოქრომკედით ქარგავდნენ.

ეროვნულ ტანსაცმელთან ერთად თბილისელ მანდილოსნებს სხვადასხვა სამკაულებიც ამშვენებდა. ქალებს გულზე ეკიდათ ოქროს ძეწკვი ჯვრით, ყელზე მარგალიტის რამდენიმე ასხმა; ხმარობდნენ ლალით, ბადახშით, იაგუნდით, ფირუზით და სხვა პატიოსანი თვლებით მოჭედილ გულის ქინძისთავს, საყურეებს, ბეჭდებს, სამაჯურებს, მანიაკს.

ეროვნული ქართული კაბის აღწერილობა ნათლად მეტყველებს საქართველოს დედაქალაქის დიდ კულტურაზე და აგრეთვე მასზე, რომ მაშინდელ თბილისში ჭრა-კერვის შესანიშნავი ხელოსნები და ოსტატები ყოფილან.

**ნინო გვათუა.**








ფოტო მ. საამოვისა.

თბილისი. ოქტომბრის ქუჩ. № 39. ამ მისამართით თამარ ქეშელაშვილის სახელზე მრავალი წერილი მოდის. ძველი ნაცნობივით გულახდილად ესაუბრებიან თამარს ბავშვები თუ მათი მშობლები ომსკიდან, უდმურეთიდან, ჩუვაშეთიდან, დაღესტნიდან ქერჩიდან, სევასტოპოლიდან, შორეული ციმბირიდან.

და განა მარტო თამარს! ამ დიდი ეზოს თითქმის ყველა პატარა ბინადარს ჰყავს მეგობ-



ეზოს კალათბურთელები.

რები სხვადასხვა ქალაქებში, რესპუბლიკის გარეთ, დემოკრატიულ ქვეყნებში. ისინი მხოლოდ წერილებით და სურათებით იცნობენ ერთმანეთს, მაგრამ იმედს როდი კარგავენ, რომ პირადადაც ინახულებენ.

— უსათუოდ ჩამოვლენ, აკი, დავპატიჟეთ!— აიმედებს ბავშვებს დეიდა თამარი.

... ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო თამარი, როცა ბავშვებს დაუმეგობრდა. კეთილმა მასწავლებელმა პატარებს სკოლის კედლები შეაყვარა, ბევრი მათთვის უცნობი «საიდუმლოება» აუხსნა.

ავადმყოფობამ ჩამოაშორა სკოლას თამარი, მაგრამ ბავშვები მაინც ვერ დაივიწყა.. კიდევ კარგი, რომ დიდ ეზოში ცხოვრობს, სადაც მ6-დე ოჯახია, თორემ რა ეშველებოდა. საზრუნავი არ ელევა თამარს. მუდამ აქვს საქმე და ამასთან—ხალისიც. საქმეს კი რა გამოლევს, როცა სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები მასთან შერბიან და სამსახურიდან მშობლების დაბრუნებამდე დეიდა თამარს აბარებენ მთელი დღის ანგარიშს.

თამარის ინიციატივით ჩამოყალიბებული ეზოს ორგკომიტეტის წევრები—უფროსი კლასის მოსწავლეები უმცროსებს საგნების მომზადებაში ეხმარებიან.

უნდა ნახოთ, რა ამბავი აქვთ, როცა ეზოში ვინმე ორიანს მიიღებს. ცუდი ნიშანი საერთო განხილვის საგანი ხდება და მალე სწორდება.

ფრენბურთისა და ჩოგბურთის სათამაშო მოედნები, ყვავილნარები, ახლადჩაყრილი ქართული ვაზი, მნახველის თვალს რომ იტაცებს, პატარების ნახელავია. თვით მათ რომ ჰკითხოთ, გეტყვიან, რომ ყველაფრის გაკეთება დეიდა თამარმა ასწავლა.

თამარი დიასახლისია. დიასახლისს კი ოჯახის საქმე არასოდეს ელევა. მაგრამ თამარი თავის პატარა კერასაც უვლის და იმ დიდ ოჯახსაც, სხვადასხვა გვარის და ეროვნების წარმომადგენლებისაგან რომ შედგება. მარტო თამარი



ილიას ძეგლი.



კი, ცხადია, ყველაფერს ვერ გასწვდება, მისი პატარა მეგობრების მშობლები რომ არ შეელოდნენ.

ილია ჭავჭავაძის იუბილეს დღეებში პოეტის ძეგლის დადგმა ამავე ეზოს მცხოვრებმა, მოქანდაკე დიმიტრი ყიფშიძემ ითავა.

ფესტივალის დღეებში სახლის აგების 30 წლისთავიც გადაიხადეს და ზეიმის სამზადისში თამარს არც სხვა დიასახლისები ჩამორჩნენ.

თბილისის 1.500 წლისთავი კარზეა მომდგარი. სახლის წინ, სადაც ეს მრავალეროვანი კოლექტივი ცხოვრობს, ახლო მომავალში ვაზი იხარებს, და თუ ვინმე იკითხავს ვაზს ქუჩაში რა უნდაო, ნუ გაუკვირდება: 1.500 წლის ქალაქს განა სხვაგვარი ქუჩები ეკადრება?

დილაა. ხმაურით იღება დიდი შენობის კარი—ბავშვები სკოლისაკენ გარბიან. მათი გასტუმრების შემდეგ მშობლებიც სამუშაოზე მიიჩქარიან, მიდიან გულდამშვიდებულნი, ბავშვებზე შიში როდი მიყვებათ, რომ ან ქუჩაში იხეტიალებენ ან რაიმე მარცხი შეემთხვევათ—თამარი მათ არაფერს გაუჭირვებს.

თუმცა სამსახურში არ მიდის, მაგრამ მაინც ადრე ამდგარა თამარი, წინ რუმინელი დიასახლისის იოლანა ბადალანისაგან გამოგზავნილი წერილი უდევს.

«... მსურს გავიცნო თქვენი ცხოვრება და საქმიანობა, აგრეთვე გიამბოთ ჩემს შესახებაც. მე ორი ვაჟიშვილის დედა ვარ. მართალია, ბავშვების აღზრდას დიდ დროს ვანდომებ. მაგრამ მაინც ჩაბმული ვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ჩვენი სამუშაო მჭიდროდაა დაკავშირებული ბავშვების აღზრდასთან...

ძვირფასო მეგობარო, მე დიდად კმაყოფილი ვიქნები, თუ მივიღებ თქვენ პასუხს, თუ დავმეგობრდებით.

გკოცნით მაგრად».

პასუხს როგორ დაუგვიანებს, ანდა მეგობრობაზე უარს როგორ ეტყვის?!

თამარი მოგონებებში გადადის, ახლადშეძენილ მეგობართან საუბარს იწყებს...

**ნელი ოქროპირიძე**

---

გარეკანზე—საპირველმაისო დემონსტრაცია.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

გარეკანის მეორე გვერდზე—

«გამარჯვება». ქანდაკება ვ. თოფურიძისა.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ექიმის რჩევა

# როგორ ვებრძოლოთ დიზენტერიას

ბაცილური დიზენტერია მძიმედ მიმდინარე გადამდები სნეულებაა. მას იწვევენ განსაკუთრებული მიკრობები, რომლებიც პირის ღრუს საშუალებით ადამიანის ორგანიზმში შეიჭრებიან, საჭმლის მომნელებელი გზებით მსხვილ ნაწლავს აღწევენ და იქ დასახლდებიან.

ყველა ინფექციურ სნეულებას ავადმყოფობის გამოვლინებამდე თავისი ფარული ხანა აქვს. დიზენტერიის ფარული ხანა რამდენიმე საათიდან 3—7 დღემდე გრძელდება. ტიპიურ შემთხვევაში დაავადება იწყება ნაწლავთა მწვავე აშლილობით, ხშირი გარეთ გასვლით (დღეღამეში 10—20—30-ჯერ და მეტჯერაც). ზოგჯერ ნაწლავიდან გამოყოფილი შიგთავსი შედგება ლორწოსა, ჩირქისა და სისხლისაგან და სრულიად არ შეიცავს ფეკალურ მასას, რაც მოწმობს ნაწლავის ნერვების მძიმე დაზიანებას. ამ მოვლენებს საერთოდ, განსაკუთრებით კი ჩვილ ბავშვებში, თან ერთვის დაავადების ზოგადი ხასიათის ნიშნები: მაღალი სიცხე, პირის ღებინება, სითხის დიდი რაოდენობით დაკარგვა, ფერმკრთალობა, ზოგადი სილურჯე, უმადობა, მოდუნება, გრძნობის დაკარგვა, კრუნჩხვები, სუნთქვისა და მაჯისცემის გახშირება და შესუსტება, კანის და ლორწოვანი გარსების (თვალის, ცხვირის, ტუჩების, პირის ღრუს, ენის) სიმშრალე, თვალებისა და ლოყების ჩავარდნა, წონაში სწრაფი დაკლება (დღეღამეში ავადმყოფი კარგავს თავისი წონის 10—30 პროცენტს). ზოგჯერ დაავადება იწყება არა ფაღარათით, არამედ შეკრულობით, მაღალი სიცხით, საერთო მოდუნებით. შეკრულობა ხშირად 1—2 დღეს გრძელდება, სწორედ ეს ნიშანი აძნელებს დაავადების გამოცნობას. რაც უფრო ძლიერია დიზენტერიის შხამი და სუსტია ორგანიზმის თვითდაცვითი ფუნქცია, მით უფრო მკაფიოდ არის გამოხატული დაავადების ზოგადი ნიშნები.

დიზენტერიული დაავადების ტიპიურ ფორმებთან ერთად გვხვდება გარდამავალი ფორმებიც—სრულიად უმნიშვნელო ზოგადი და ადგილობრივი ნიშნებიდან დაწყებული, ძალიან მძიმედ გამოხატულ მოვლენებამდე.

უნდა გვახსოვდეს, რომ დიზენტერიით ავადდება ადამიანი ყველა ასაკში, მაგრამ სიკვდილიანობის დიდ პროცენტს ის იძლევა ბავშვებში, განსაკუთრებით ერთი წლის ასაკამდე. ამიტომ ყოველგვარი მცირე გამოხატული ნიშნებიც კი: პირის ღებინება, შეკრულობა ან ფაღარათი, ბავშვის ხალისიანი განწყობილების შეცვლა შედარებით მოწყენილობით, ოდნავ აწეული ტემპერატურა, უმადობა, ფერმკრთალობა, მოდუნება, საერთო სისუსტე, წონაში უმნიშვნელო დაკლება, ან წონაში მატების შეწყვეტა მშობელს ავალებს სწრაფად მიმართოს ექიმს.

როგორ ვრცელდება დიზენტერია? დიზენტერიის გავრცელების წყარო დიზენტერიის მწვავე და ქრონიკული ფორმით დაავადებული ადამიანია, რომელიც ფეკალურ მასაში მილიონობით გამოჰყოფს დიზენტერიის გამომწვევ ჩხირებს. დიზენტერიის მიკრობთა რეზერვუარს წარმოადგენს საპირფარეშოები, სანაგვე ყუთები, ფეკალური მასით დასვრილი საზოგადოებრივი ადგილები: ქუჩები, გზები, საიდანაც სხვადასხვა გზით: ბუზებით, ქარით, ადამიანისა და შინაური ცხოველის ფეხების საშუალებით ადვილად ხდება მიკრობების გადატანა საცხოვრებელ ბინებში, საკვებ პროდუქტებზე და შემდეგ ადამიანის ორგანიზმში.

დიზენტერიის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა ადვილია მაშინ, როცა მაღალ დონეზე დგას სანიტარული კულტურა, დაცულია პირადი და კვების ჰიგიენის პროფილაქტიკური მინიმუმი. ეს უნდა იცოდეს ყოველმა დედამ და ამ პირობებს პირველ რიგში ისინი უნდა იცავდნენ, რაც თავიდან აგვაცდენს ამ დაავადების გავრცელებას და მოსალოდნელ მძიმე შედეგებს.

**დ. იაშვილი,**
ქალაქ თბილისის ბავშვთა პირველი ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

რედაქტორი თეო აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
ნომერი გააფორმა ლ. შენგელიამ.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

რედაქციის მისამართი: სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 15.000. ფასი 3 მან.
შეკვეთის № 527 უე 02980

საქ. კპ. ც-კის გამომცემლობა
პოლიგრაფიული კომბინატი
„კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

Ежемесячный общественно-политический иллюстрированный журнал „Сабчота Кали“, Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვადასხვა



ს ს რ კავშირი.



გერმანია.



უნგრეთი.

# ქვეყნის მოდები



ჩეხოსლოვაკია.



პოლონეთი.

საჯარო ბიბლიოთეკა

6.89/120
5.9/89
ეროვნული ბიბლიოთეკა

